

# საერთო გაყვითი


№21 (754)  
ოთხშაბათი  
12 ივნისი,  
2024 წ.  
ფასი 1.50 ლ.

## არც ის მიკვირს, ოპოზიციას საგუბლოს ღალატი რვევად რომ ექცა...

**ზაალ ანჯაფარიძე:**  
მთავარი „ქორობრაფები“  
ისევ მიზეზი და სალოგი  
აღმორღნენ და არა  
ვანო და „ქეზერა“

**ლევან ნიკოლეიშვილი:**  
ქართულს ბატონი  
არ უყვარს –  
ამ არჩევნებზე ოპოზიციის  
გამარჯვების შანსი ნულია

**ნანა კაკაბაძე:**  
ამერიკა ცდება, თუ ფიქრობს,  
რომ კუთხეები დაგვაყენებს



## საქართველოს თავზე გასხოვრის საფლავიდან ართმეული ღროვა რატომ უნდა ფრიალებდეს?



**ელეზარ გვენეტაძე:**  
გამოვალნიკო(ვ)ებული  
ამერიკა და  
მეხუთე კოლონა

ჰააგის სასამართლოს  
ისტორია, კომპეტენცია  
და სტრუქტურა

**შოთა გლურჯიძე:**  
რემთვის ძვირფასი  
საჩუქარი კარგი ფუნჯი  
და საღებავია

ვიოლა ფონ კრაომონი და ანა ფოტიბა  
**ევროპარლამენტს მიღვა**

**არქიმედეზ ეფემტი**

## ეს რა გიქნეს, ძეგო „ხაბუ“?!



# ირაკლი კობახიძე მსოფლიო ლიდერებთან ერთად ბერლინში უკრაინის აღდგენის კონფერენციაში (URC-2024) მონაწილეობს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე მსოფლიო ლიდერებთან ერთად ბერლინში უკრაინის აღდგენის კონფერენციაში (URC-2024) მონაწილეობს.

ლონისძიების მონაწილე სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებს გერმანიის ფედერალური კანცლერი ოლაფ შოლცი და უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი ხელმძღვანელობდნენ. ირაკლი კობახიძემ კიდევ ერთხელ გამოხატა მზარდაჭერა უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და აღნიშნა, რომ საქართველო მზადაა, მაქსიმალური წვლილი შეიტანოს უკრაინის აღდგენაში.

კონფერენციის ოფიციალურ განცხადებაში, მონაწილე ლიდერებმა ერთობლივად ფოტო გადაიღეს.

ლონისძიების მთავარი მიზანია უკრაინის აღდგენის, რეკონსტრუქციის, რეფორმებისა და მოდერნიზაციისთვის საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება. მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმში სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურები, მინისტრები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფინანსური ინსტიტუტების, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

„ჩვენ გვქონდა საშუალება, ორჯერ გამოვსულიყავით სიტყვით, ერთხელ პრეზიდენტებთან და ერთხელ პრემიერ-მინისტრებთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.“

„ჩვენ გვქონდა საშუალება, ორჯერ გამოვსულიყავით სიტყვით, ერთხელ პრეზიდენტებთან და ერთხელ პრემიერ-მინისტრებთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.“

„ჩვენ გვქონდა საშუალება, ორჯერ გამოვსულიყავით სიტყვით, ერთხელ პრეზიდენტებთან და ერთხელ პრემიერ-მინისტრებთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.“

„ჩვენ გვქონდა საშუალება, ორჯერ გამოვსულიყავით სიტყვით, ერთხელ პრეზიდენტებთან და ერთხელ პრემიერ-მინისტრებთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.“



სა და პრემიერ-მინისტრების ფორმატში, ერთხელ გაფართოებულ ფორმატში, ასევე, სესიებს შორის გეგმიურად საუბარებს, გაეცა უბრალოდ პრემიერ-მინისტრებს, ვიცე-პრემიერებს, საგარეო საქმეთა მინისტრებს, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ქართულ მედიასთან უკრაინის აღდგენის კონფერენციაზე საუბრისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა კონფერენციის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ უკრაინის

აღდგენაზე მსჯელობა არის ძალიან მნიშვნელოვანი.

„მთლიანობაში, ჩვენი ქვეყნის მონაწილეობა ამ ღონისძიებაში იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენი სოლიდარობა უკრაინის, უკრაინელი ხალხის მიმართ არის ძალიან მტკიცე. ეს სოლიდარობა გამოიხატება პოლიტიკურ, დიპლომატიურ, ჰუმანიტარულ მხარდაჭერაში და, რა თქმა უნდა, მომავალშიც ამ სულისკვეთებით გაავარძლებთ მოქმედებას“, - განაცხადა პრემიერმა.



ირაკლი კობახიძე

ჩვენ გვჯერა, რომ უკრაინელი ხალხი მალე მიიღწევენ მშვიდობას და ჩვენ ერთად ვიზიარებთ ჩვენს სრულფასოვან განდევნებას ევროკავშირში

# ვიოლა ფონ კრამონი და ანა ფოჭიბა ევროპარლამენტს მიღმა

დასრულდა ევროპარლამენტის ოთხდღიანი საარჩევნო მართონი, რომელიც „ბებური ქალბატონის“ კონტინენტის 27 ქვეყანაში გაიმართა. განვლილი კენჭისყრის შედეგები ანალიტიკოსებმა „პოლიტიკურ მიწისძვრად“ შეაფასეს. წლეულს ევროპარლამენტის წევრობის 720 ადგილზე ევროპაში არსებული 200 პარტია აცხადებდა პრეტენზიას. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 373 მილიონ ადამიანს აჭარბებდა. ევროპარლამენტის წევრები 5 წლის ვადით აირჩიებიან. სწორედ ამ ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს ევროპის მომავალი ხუთი წლის განმავლობაში. ევროპარლამენტის პირველი სხდომის გამართვა ივლისის შუა რიცხვებში დაგეგმილია. აქვე შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციაში ყველაზე მეტი მანდატი — 96 გერმანიას აქვს, 81 კი — საფრანგეთს.

ევროპარლამენტის არჩევნების შედეგებმა განსაკუთრებული დარტყმა საფრანგეთისა და გერმანიის მმართველებს მიაყენა. მომხდარმა დააფიქრა პოლიტოლოგები — როგორ შეძლებენ ევროპის დიდი სახელმწიფოები შეთანხმებულად პოლიტიკის გატარებას, წერს „როიტერი“.

საფრანგეთში პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის ცენტრისტული ალიანსი პირწმინდად დამარცხდა მარინ ლე პენის ულტრამემარჯვენე პარტიასთან. არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე, ემანუელ მაკრონმა დაითხოვა მოქმედი საკანონმდებლო ორგანო და ახალი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაიწყო, რომლის პირველი ტური 30 ივნისს გაიმართება, მეორე, დასკვნითი კი — 7 ივლისს. „მჯერა ფრანგი ხალხის შესაძლებლობის, რომ თავიანთთვის და მომავალი თაობებისთვის ყველაზე სამართლიან არჩევანს გააკეთებენ“, — დაწერა სოციალურ მედიებში მაკრონმა. სამართ-

ლიანობაზე საუბრისას, მან, რატომღაც, დაივიწყა, როგორ „მოპარა“ განვლილი საპრეზიდენტო არჩევნები იგივე მარინ ლე პენს. „ჩემი ერთადერთი ამბიციაც არის, გამოვადგე ჩვენი ქვეყანა, რომელიც ძალიან მიყვარს“, — აცხადებს მაკრონი. თუმცა, ქვეყნისა და სამშობლოს მოყვარული მმართველი საკუთარ ქვეყანას ომის, მით უფრო, დამარცხებისთვის განწირულ ბრძოლის ზღვარზე არ მიიყვანს.

კარგად გვახსოვს მისი მმართველობის პერიოდში მრავალათასიანი აქციები მოსახლეობისთვის სოციალური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით...

მაკრონის განცხადებით, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მიზეზი ევროპარლამენტის არჩევნებში დამდგარი „კატასტროფული შედეგა“... „ეს არის სერიოზული, მძიმე გადაწყვეტილება, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ ნდობის აქცია. საფრანგეთს სჭირდება მკაფიოდ გამოკვეთილი უმრავლესობა, რათა შეძლოს მშვიდობიანი და პარლამენტული მუშა-

ობა. მოვისმინე ფრანგების გზავნილი და წუხილი, რასაც უპასუხოდ არ დავტოვებ“, — განაცხადა მაკრონმა. ვნახოთ, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ფრანგი მოსახლეობა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე.

მძიმე, მტკივნეული ღამის გატარება მოუხდა გერმანიის კანცლერს ოლაფ შოლცს, რადგან მისმა „სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ“ დღემდე ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენა არჩევნებში — წამყვანი პოზიცია დაუთმო „ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირს“ და ულტრამემარჯვენე პარტიას „ალტერნატივა გერმანიისთვის“ და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. თუმცა, მაკრონის მსგავსად, საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნას და ვადამდელი არჩევნების დანიშვნას ჯერ არ აპირებს, თუმცა, ამისკენ მოუწოდებს ოპოზიცია.

თანამდებობის დატოვება მოუხდა ბელგიის პრემიერ-მინისტრს ალექსანდრე დე კროოს. მიზეზი ევროპარლამენტის არჩევნებში წარუმატებლობაა. მისი თქმით: „...ეს იყო

განსაკუთრებით რთული საღამო“.

აღსანიშნავია, რომ ბელგიაში არა მარტო ევროპარლამენტის, არამედ რეგიონული და ფედერალური არჩევნებაც გაიმართა. დე კროოს პარტიამ კოალიციური უმრავლესობა ვერ შეინარჩუნა და მისი გადადგომის მიზეზი ეს გარემოებაც გახდა.

მართალია, უნგრეთში პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ორბანის პარტიამ „ფიდეუსმა“ გაიმარჯვა, მაგრამ ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ბოლო ოც წელში პარტიამ ყველაზე ცუდი შედეგი აჩვენა. როგორც „როიტერი“ იუწყება, „ფიდეუსმა“ და მათმა მოკავშირე „ქრისტიან-დემოკრატებმა“ წინასწარი მონაცემებით, 44% აიღეს, რაც პარლამენტში 11 ადგილია. პიტერ მაგანის მემარჯვენე-ცენტრისტულმა „ტიზამ“ 30% მოიპოვა.

ორბანის განცხადებით, „არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ უნგრეთში დემოკრატია ცოცხალი და ჯანსაღია. საომარ სიტუაციაში და რთულ ბრძოლაში ჩვენ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ“. მისივე თქმით, განვლილი არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ უნგრელი

ხალხი მშვიდობის მომხრეა და მხარს უჭერს მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკას.

არჩევნებამდე არაერთხელ გაცხადდა ხმამაღლა, რომ ევროკავშირში თანამდებობის შენარჩუნება სურდა ურსულა ფონ დერ ლაიენს, რასაც არც თავად უარყოფდა. არჩევნების შედეგებით იგი ამკარად კმაყოფილი დარჩა, რადგან „ევროპის სახალხო პარტიამ“ უმრავლესობა შეინარჩუნა. თუმცა, 184 ევროპარლამენტრიდან რამდენი დაუჭერს მხარს, უცნობია, რადგან მისი უშუალო კონკურენტი შარლ მიშელია და მის ადგილზე, ასევე მოიაზრება ვიქტორ ორბანიც. „ჩვენ მოვიგეთ ევროპარლამენტში არჩევნები, რომელშიც აჩვენა, რომ ევროპელებს ძლიერი ევროპა სურთ. ამ არჩევნებით მივიღეთ ორი გზავნილი — უმრავლესობა ძლიერი ევროპის ცენტრად რჩება, რაც სტაბილურობისთვის გადამწყვეტია. ისიც რეალობაა, რომ მემარჯვენე და მემარცხენე ძალებმა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღეს, რაც დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ცენტრისტულ პარტიებს. შესაძლოა, განსხვავებული აზრი გვექონდეს, მაგრამ ყველას ძლიერი და ეფექტური ევროპა გვინდა“, — განაცხადა ურსულა ფონ დერ ლაიენმა. მისივე თქმით, ისინი მუშაობას განაგრძობენ მათთან, „ვინც არის პროევროპული, პროუკრაინული და კანონის უზენაესობის მხარდამჭერი“. მისი სიტყვები კარგად არის გასაზრებელი, რადგან იგი შეფარულად მხარს უჭერს არამარტო ეროვნულობის, ტრადიციების დევრადციას და უარყოფას, ახალისებს ომსაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს „დაუძინებელი მეგობრები“ — ვიოლა ფონ კრამონი და ანა ფოჭიბა ევროპარლამენტის მიღმა დარჩნენ...

„სა“ მიმოხილველი





# არც ის მიკვირს, ოპოზიციას საფუძვლად დალაბი ჩვევად რომ ექცა...

„ოპოზიციურ პარტიებს თავმოყვარეობა აქვთ დაკარგული. ის ადამიანები, რომლებიც სალომე ზურაბიშვილს რეზიდენტად მოიხსენიებდნენ, დღეს ან მის გარშემო გაერთიანებულნი. მათ თავად ჩანაცვლეს საკუთარი ბელადი ახალი ბელადით — სალომე ზურაბიშვილით“, — აღნიშნა ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

სიტყვა „რეზიდენტი“ არ შეაწუხებდა, თვითონ უკეთ იცის, რაც არის და ამის გარდა, კიდევ რაღაც მოიხსენიებდნენ, არც იმას შეუწუხებია. ფაქტი სახეზეა, არ აწუხებს დამაკანინებელ კონტექსტში მოხსენიება — და ეს ვინმეს კიდევ უკვირს ყველაფერი იმის შემდეგ, რაც ამ ქალმა მოიმოქმედა?

არც ის მიკვირს, მობილურ ტელეფონებზე სამარცხინო და მუქარის შემცველ შეტყობინებებს რომ უგზავნიან ცალკეულ პირებს;

არც ის მიკვირს, როცა თავს ესხმიან ცალკეულ პირებს და არც ის გამკვირვებია, ბატონ გურამ მაჭარაშვილს ან წითლიძე რომ ევგვიძეობდა (ზოგადად, ქალები რომ კაცებს ეჭიმებიან). რა ჰგონიათ, რომ მელიძე მათგანი კაცს მოერევა? ხომ გააბრტყელებს ის რომელიმე მიზანში ამოღებული კაცი იმ რომელიმე ქალს მამისჯვარის ლავაშივით, მაგრამ იცინა, რომ არ გააბრტყელებს და ქინქლა რომ სპილოს ეტყევა, ასეა ეს ამბავი.

შესაბამისად, აღარც ის მიკვირს, სპეცდანიშნულების რაზმს რომ იწვევენ ქალისებრი არსებები და არც

რომლებიც კანონის მიღების გამო დაასანქცირეს;

არც ბატონი მიხეილ ყაველაშვილის შეკითხვა მიკვირს, ბაიდენის ადმინისტრაციას რომ მიმართავს, „ფარა“ ერთი-ერთზე რომ გადმოგველო, მაინც დაგვასანქცირებდითო?

არც ის მიკვირს, ლგბტ პროპაგანდის აკრძალვასა და ამ თემასთან დაკავშირებული საკითხების წინააღმდეგ ხმის მიცემას რომ აპირებენ. მათი დამოკიდებულება ამგვარი საკითხებისადმი ისეთ ეჭვს მიჩენს, სწორედამ რომ მართებულად უნდა მიაჩნდეთ ყოველგვარი უკუღმართობა;

არც აშშ-ის კონგრესში „დაუნ ვი დიქტიტეს“ საქართველოს წინააღმდეგ წერილის გაგზავნა მიკვირს და არც მისი იქ ბოდილი;

არც ორი უსამშობლოს (საბანაძე და ჩხიკვაძე) ცრუ ბრალდებები;

კიდევ ბევრი რამ აღარ მიკვირს, რაც ჩვენთან ხდება და ყურით მოთრეულია, მაგრამ არის რაღაც, რაც ვერ გავიგე და სადაური წესია ასე საკუთარი თავის მასხრად აგდება, ნეტავ?

საქართველო აქამდე იყო მასხრად აგებული და ფეხქვეშ გაფენილი, საქართველოს „დაუძინებელი მეგობრების“ ერთ წარბის აქანჯახზე და ფეხის დაბაკუნებაზე ასკინკილით რომ დარბოდნენ. აქ მარხია ძაღლის თავი, ხელიდან ეცლებათ ზეპერსპექტიული გეოგრაფიული მდებარეობა, თორემ საქართველო ვის დაჰკარგვია თავის მოქალაქეებიანად.

გამოვლინება იქნებოდა და მეთიუ მილერმა „საფუძვლები“ მიაბა: დემოკრატიის უგულვებელყოფა; შეკრების თავისუფლების დარღვევა; სამოქალაქო სექტორზე თავდასხმა; დეზინფორმაცია და რიტორიკა. მამაცხონებულს, ბარემ მიემა გვამების სახურავზე შემოდება, „ორი გვამი მინდა“, ციხეებში გარდაცვლილთა და ქუჩაში დახვრტილთა ვინაობები და მოყოლებინა ის ვრცელი ჩამონათვალი, რაც „ვივაამედში“ წამოკოტრიანებული მმართველობის წლებში ხდებოდა. რასაც ის ლაპარაკობდა, „დემოკრატიის შექურას“ ეხებოდა, თანაც ძალზე შერბილებული ფორმით და რა მოუვიდა, წლები აერია? ასე გამოდის — 2012 წლამდე გალაღებული დემოკრატიამ ვყოფილვართ და 2012 წლიდან ტირანიაში ვღაფავთ სულს.

უკუღმა ეგ, ასინეთა, უკუღმა! — რა უსიციხეილოები ყოფილან! თითქოს იმდროინდელმა ყველა ელჩმა არ იცოდა, რა ხდებოდა რუალურად საქართველოში და რა უტიფრად დუმდნენ მამინაც და დუმან ახლაც...

„ამერიკან კონსერვატივი“ გამოქვეყნდა წერილი, სადაც შავით თეთრზე წერია: „რეალური წინააღმდეგობა იმაში მდგომარეობს, რომ უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების ფულის უმეტესობა მოდის აშშ-იდან და ევროპიდან — დემოკრატიულ ფასეულობებზე მოკავშირეების მადლფარდოვანი ლაყობის მიუხედავად, ისინი თავიანთი საქმიანობის გასაიდუმლოებას ამჯობინებენ“.

ბაიდენის ადმინისტრაცია თუ დარჩა ისევე, როგორ წარმართება აშშ-ისა და საქართველოს ცრუ პარტიოტული ურთიერთობა, ძნელი მისახვედრი არ არის, თითქოს გამოხსნულად გვაძულებენ აშშ-ის იმე, რომ იქით აღარ გავიხდით? რას ჰქვია, რომელიღაცა ქვეყანა დემოკრატიის სახელით სჯი რომელიღაც ქვეყანას, რა სახის თავზეხელაღებულია, ცრუ დემოკრატიის? თუ საქართველოს ხელისუფლების დამორჩილება მიზანი, კი უნდა მიმხედარიყვნენ უკვე, რომ საქართველომ ქართული კურსი აიღო და ქვეყნის დასაცვევად, რაგინდ თავიანთი გომიები აწკაწკავენ, ნაბიჯის გადადგმას ვერ აიძულებენ. იმის გამო, რომ საქართველოს მშვიდობა და ქვეყნის აღმშენებლობა აქვს მიზნად, არ უნდა ეს დამაქცევარი „უკრაინიზაცია“, მართლა ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქიდან ვინ უნდა უქნედეს თითს?! აი, მათი „ბედნიერება“!

„უკრაინაში მოხდა ნარინჯისფერი რევოლუცია, 2014 წელს მოხდა მეორე რევოლუცია - მაიდან. ჩვენ ვხედავთ ძლიერ დემოკრატიას უკრაინაში, რომელმაც მიიღო სარგებელი და აღმოცენდა ამ ორი რევოლუციის საფუძველზე. საქართველოს რა მოუვიდა?! საქართველო განიცდიდა პროგრესს, საქართველოს უფრო ნაკლები დასავლური ტრადიციები გააჩნდა, ვიდრე უკრაინას და უფრო მარტივი იყო ავტორიტარული მენტალობის ადამიან-



ბისთვის, ჩამოეცილებინათ საქართველო ევროპული გზისთვის. საქართველო ახლა არის გზაგასაყარზე, როგორც 2014 წელს უკრაინა. თუ გაყალბდა არჩევნები მასიურად, შეიძლება მოხდეს ასევე რევოლუცია საქართველოში და ჩვენ რა თქმა უნდა, შეგვიძლია გამოვავაზავოთ დამოუკიდებელი დამკვირვებლები, გააკრიტიკოთ მაგალითად, ხელი-სუფლება,“ - აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში უილიამ კორტნი „მეგობარი აქტის“ განხილვისას.

ქვეყნის მანებლებმა მყისიერად გაიხარეს, ახლა ევროპიდანაც დაგვიწვდებათ სანქციები და მერე ხაბაროვსკში იმოგზაურეთ, ან ვაზახეთშიო...

სტატისტიკა გამოქვეყნდა, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოსახლეობას მკაცრად აქვს ქოტეტი შეზღუდული აშშ-ში ვიზების გაცემასთან დაკავშირებით. კელი დეგანანი იყო მამინ აშშ-ის ელჩი და როგორც სწევოდა, ისე უტიფრად შეიცხადა, არაფერი მსგავსი არ არის, თუ საბუთები წესრიგში აქვთო — სტატისტიკა კერძო პირმა დაწერა, თუ ისეთი მოუწესრიგებლები ვართ, ორი ფურცელი ვერ დაგვიღია ერთმანეთზე.

ახლა ახალი მანებლობა აქვთ გამოხსნული, 2024 წლის არჩევნების გამოცხადება უნდათ გააღებულად. ამათი „დაუძინებელი მეგობრობით“ ისე ჩანს, რომ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი წარმოდგენილად გვაახლოვებდა დემოკრატიასთან, ევროპულ ფასეულობებთან და ყველაფერ დასავლურთან, „ქართული ოცნების“ გაწონასწორებული და პრაგმატული პოზიცია კი რუსულ გამოქვაბულში მიგვაქანებს.

რაც რამე სტრატეგიული ობიექტი გვქონდა, ყველა „ნაცსექტამ“ გადასცა რუსეთს, ზედ ბარემ საქართველოს ტერიტორიებიც დაადო და 40 წუთის საგაზღვო ჩაგვისას რუსული სამხედრო ბაზა და რუსეთის სამშვიდობო პოზიციის დამჭერი „ქართული ოცნება“, მიუხედავად იმისა, რომ ოთხი საერთაშორისო სასამართლო მოუგო რუსეთს, რუ-

სეთის მონა ყოფილა. ცხონებულმა ბებიამემა იცოდა თქმა, ავი მეზობელი გერჩივოს შორეულ მოკეთესო. რა ვქნათ, ასე განაწილდა ჩვენი მხარე, რომ ავი მეზობლებით ვართ კარგმოცულნი და ვის ველოთ, კონკრეტულად იმ რუსეთს, რომელსაც მთელი ნატო ებრძვის და ძერას ვერ უშვრებინა? სისხლი მოუტანს საქართველოს დასავლურ ბედნიერებასა და დემოკრატიას, ხოლო მშვიდობა-აღმშენებლობას დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრა ჰქვია?

ისეთ აგონიაში არიან, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მართლა ქართული საქმეების კეთება დაიწყო, რაც ნამდვილად ძირს უთხრის დასავლურ უმეგანობას, რასაც არანაირი შეხება არ აქვს დემოკრატიასთან (სიტყვა „დემოკრატია“ კი შემაბულეს, იმდენად გაუფასურდა და არაფრად იქცა!)

რას მოჰყვა მთელი ეს კაკაფონია, იმას, რომ მშვიდობა გვინდა, ვერ შევეწირებით ზვარაკად უკრაინას და „დაუძინებელი მეგობრების“ მიერ დაფინანსებული ენჯელოების ქსელის შემოსავლები უნდა გასაჯაროვდეს?

მე და ჩემს საახლობლოს პირველი 26 მაისის გარდა საქართველოს არცერთი დამოუკიდებლობის დღე არ აღგვინიშნავს, რადგან არ ჩაგვივლია, რომ საქართველო დამოუკიდებელია. ჩემს თაობას საბჭოთა კავშირში მოუწია დაბადება და ცხოვრების მნიშვნელოვანი დროის გავლა, ახლა კი ვილაღ ცხვირმოუხოცავი მიხსნის იმას, რაზეც წარმოდგენა არ აქვს. რუსეთი ის მონსტრი აქლემია, რომელიც ისე არ დაეცემა, ვირისოდნა ტვირთი ვერ ზიდოს და გააგებინე ახლა ეს ამ ომისმოყვარე ცინგლიანებს!

გინდა მეგლს შეუგუამივარ, გინდა მეგლისევერ ძაღლს — ასეა ჩვენი საქმე, ამიტომ არის, რომ მთელი ძაღლისხმევა ჩადო „ქართულმა ოცნებამ“ მშვიდობაში, შევინარჩუნეთ მშვიდობა ეს წლებია და რომ არ



ის გამკვირვებია, ორი მეტიარა კაციისებრი რომ წამიერად „გაალამაზეს“.

არც ის მიკვირს, რა მიხეხითაც არიან ასე გაავებულები, რადგან ნამდვილად მძიმე იქნება, ხელიდან რომ გამოგაცლიან სამანებლო ფულს და მშრალზე დარჩები ფულსმიიყველი;

არც ის მიკვირს, მაევანთ „ბომბების ცვენა“ რომ ურჩვენაით და მშვიდობიანი საქართველო ერცხენებთ;

არც ის მიკვირს, ბატონი მამუკა მდინარაძე რომ მოითხოვს, უფლება გვაქვს ვიცოდეთ, ვართ თუ არა პირველი კანონმდებლები მსოფლიოში,

კარგი, დასანქცირდნენ ვილაცები და მათი ოჯახის წევრები, მაგრამ არ გეტყვით, ვინ არიან, აშშ-ში თუ ჩამოვლენ, მაშინ გაიგებენო. ბაიდენის ადმინისტრაციაში ყველა ბაიდენით არაადექვატურია? საგარეჯოში ხომ არ მივედივარ, ამხელა მანძილი უნდა დაეფარო ვილაქ ქართველი რომ ვარ და მერე მეტყვი, ტრაპიდან ფეხი არ დაადგა აშშ-ის მიწასო?

ძალიან აშაღა აშშ „გამჭირვანობის კანონმა“ და რას მიედ-მოედებიან, თვითონვე ვედარ გარკვეულან, კანონისთვის ხმის მიცემის გამო პარლამენტარების დასანქცირება ძალიან არანორმალური



# მთავარი „ქორობრაფები“ ისევ მიზა და სალომე აღმორჩინდნენ და არა ვანო და „კეზერა“



**აშშ-მა საიზო შეზღუდვების პირველი ტრანში გამოაცხადა. შეზღუდვები დაუწესდებათ „ქართული ოცნების“ წევრებს, პარლამენტის დეპუტატებს, სამართალდაცველებსა და კერძო პირებს, პირველ ეტაპზე - 24-დან 36-მდე ადამიანს. საუბარი ანალიტიკოს ზაალ ანჯაფარიძისთან ამ თემით დავიწყეთ:**

- ამერიკა მსოფლიოს ლიდერად მიიჩნევს თავს და ამიტომაც პირდაპირ გვეუბნებიან, რომ უარესის მოლოდინში უნდა ვიყოთ, თუ ისე არ მოვიქცევით, როგორც მათ უნდათ. რა კუთხითაც უნდა განვიხილოთ საქართველოსა და დასავლეთის ახლანდელი ურთიერთობები, სახეზეა მცდელობა, დააბრუნონ ის რეჟიმი, რომელიც 2012 წელს გავისტუმრეთ. პრინციპი მარტივია: „ის ნამიძრაა, მაგრამ ჩვენინი ნამიძრაა“.

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სიღრმეებში გარკვევა, ერთი მხრივ, რთულია, მაგრამ მეორე მხრივ - არც ისე რთული. ვისაც ეს აინტერესებს, მან „სახდების“ სპიკერის, მეითუ მილერის განცხადებებიდან კი არ უნდა გამოიტანოს დასკვნები, არამედ ცოტა მეტად უნდა ჩაიხედოს აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში და ბოლომდე გაეცნოს თუნდაც აშშ-ის სენატის დარგობრივ კომიტეტებში გამართულ მოსმენებს, რაც საგარეო პოლიტიკას და უსაფრთხოებას ეხება.

ორი თვის წინ აშშ-ის სენატის დაზვერვის კომიტეტში გაიმართა მოსმენა, სადაც დაბარებული იყო აშშ-ის ყველა სადაზვერუო უწყების ხელმძღვანელი. თემა: აშშ-ის მიმართ მსოფლიო საფრთხეები. ამ მოსმენაზე სენატორებმა თქვეს, რომ აშშ არის მსოფლიო ლიდერი, რომელსაც შეუძლია, თავის ძალმოსილებას განავრცოს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მისთვის მისაღები შედეგებით - ანუ, რაც კარგია აშშ-ისთვის, კარგი უნდა იყოს სხვებისთვისაც.

ამ დროს, აშშ-ის მიერ სტრატეგიულ პარტნიორად, ანუ ფაქტობრივად, ჯიბეში ჩადებულია მიჩნეულ საქართველოსა და მის ხელისუფლებას პყონით „თავზე-დობა“, გაატარონ დამოუკიდებელი პოლიტიკა და მიზანს რეჟიმისგან განსხვავებით, ამერიკელებს ყველაფერზე გუნდრუკი არ უკმობს. უფრო მეტიც, საქართველო ბედავს, აშშ-ის მსოფლიო ლიდერობა ეჭვქვეშ დააყენოს იმით, რომ ძალების სხვა ცენტრებთან ეძებოს კავშირები.

შესაბამისად, პოლიტიკური სტრატეგია ქართულ-ამერიკული შესრულებით, აშშ-ის კონგრესის „პელსინკის კომიტეტზე“, არის პირველი სპონტანური რეაქცია „ურჩი“ პარტნიორის სრულიად ლეგიტიმურ ქმედებებზე - ჩემს ქვეყანაში მივიღებ ისეთ კანონს, რაც ქვეყანას სჭირდება და რასაც ხალხი მხარს უჭერს!

აშშ, რომელმაც გვაგრძობინა, რომ საქართველოს ხელისუფლების ჩანაცვლება მისთვის სასურველი მარიონეტით სურს, რა თქმა უნდა, ყველაფერს გააკეთებს, რომ ასეც მოხდეს. ვაშინგტონი ულმობელია მათ მიმართ, ვინც აშშ-ის მსოფლიო ლიდერობას ეჭვქვეშ აყენებს. ეგაა, რომ ზოგან გამოსვლით ხელისუფლების დამხობა, ზოგან კი - არა. იმედია, ჩვენ ის ქვეყანა ვიქნებით, სადაც ეს არ გამოუვათ.

**- უარესს უნდა ელოდოთ, გაგვაფრთხილეს და სანქციების შემდეგი ეტაპი როგორ წარმოგიდგენიათ, ბატონო ზაალ?**

-2009 წელს, როდესაც ამერიკამ სააკაშვილის ხელისუფლებასთან ბიზნესხელშეკრულება გააფორმა, ჩათვალეს, რომ მათ საქართველო ჯიბეში ჩაიდეს და, პრინციპში, ასეც იყო. რასაც აშშ უბრძანებდა, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება უსიტყვოდ ასრულებდა. სანდო წყაროებიდან ვიცი და იმდროინდელი ამერიკული მედიასაშუალებებიც წერდნენ, რომ საქართველოში ხელისუფლების ცვლილებით ძალიან უკმაყოფილო იყო ამერიკა, რადგან მაინცდათ, რომ ის ურთიერთობები, რაც აწუხებდა იყო საქართველოსა და აშშ-ს შორის, ჩამოინგროვდა. შემდეგ უკვე „ქართული ოცნება“ წლების განმავლობაში ფრთხილობდა და ცდილობდა, მეტ-ნაკლებად გაეთვალისწინებინა აშშ-ის ინტერესები, რაც დავინახეთ თუნდაც სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით. ეს დაპირება მმართველმა გუნდმა ბოლომდე ვერ განახორციელა, რის ძირითადი მიზეზიც სწორედ ამერიკის ზეგავლენა იყო. თუმცა, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, ისეთ წინააღმდეგობაში მოვიდა ამერიკიდან წამოსული და აშშ-ის მიერ ევროკავშირში მართული რეკომენდაციები ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებ-

თან, რომ მორჩილების რეჟიმში ყოფნა უკვე სახელმწიფოებრიობის გაწირვას ნიშნავდა. როგორც ჩანს, ეს არ აბათებს ამ პატარა ქვეყანას და კონკრეტული ქმედებები დაიწვეს.

შემდეგი ნაბიჯი, ალბათ, სანქციების ახალი პაკეტი იქნება, რადგან, თუკი იქიდან ამოვალთ, რომ მათი მიზანი ხელისუფლების შეცვლაა, ამერიკა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ არჩევნებამდე „ქართული ოცნება“ მაქსიმალურად დაასუსტოს. ზოგიერთი ნაბიჯი შეიძლება საჯარო არც იყოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მათი აქაური მოკავშირეების მეშვეობით, წავა მუშაობა ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენელზე, რათა სახელმწიფოს ინსტიტუტები შიგნიდან ჩამოშალოს და საპარლამენტო უმრავლესობაში მზარი გაჩნდეს.

**- როცა ამ ყველაფერს ვუფურებ, ჩემი საბჭოთა ბავშვობა მახსენდება. განა სწორედ ამ მიზეზის გამო არ ვთქვით უარი საბჭოთა კავშირზე და არ გავიღეთ უამრავი მსხვერპლი, რომ ლამის განცხადებასაც ვერ დავწერდით საკუთარ ქვეყანაში, კრემლთან შეთანხმების გარეშე?**

- თოზნიციის ქმედება მაგონებს იმ ქართველების ქმედებას, საბჭოთა კავშირის დროს მოსკოვში რომ გარბოდნენ აქაური ხელისუფლების დასაბუზღებლად. შემდეგ კი ამას კრემლის რეაგირება მოჰყვებოდა ხოლმე. პირდაპირ შედარებებს ვერ გავაკეთებთ, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის მითხოვნებთან ბევრი პარალელის გავლება შეიძლება, - ჩვენ ისევე ვართ დომინიონი ქვეყანა მეტროპოლიის ხელში, უბრალოდ, „პატრონი“ გამოვიცვალეთ. თუმცა, დღეს ჩვენ მინც დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, გვაქვს საკუთარი ვალუტა, საკუთარი ჯარი, გვყავს ჩვენი წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში, გვაქვს სუვერენიტეტის ელემენტები... საბჭოთა კავშირის დროს კი არაფერი მსგავსი არ გვქონდა, თუმცა, მეტროპოლიების მხრიდან კონტროლისა და მითითებების თვალსაზრისით, სამწუხაროდ, იგივე მდგომარეობაში დავრჩით.

საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას შევადარებდი ბრეჟნევის დოქტრინას 60-70-იან

წლებში, რომელსაც სახელად ერქვა „შეზღუდული სუვერენიტეტი“ და ვრცელდებოდა ე. წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნებზე, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ამ ქვეყნებს მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში შეეძლოთ მიეღოთ დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, პრინციპული საკითხები კი კრემლთან უნდა შეეთანხმებინათ. მაგალითად, 1968 წელს კრემლს არ მოეწონა ჩეხოსლოვაკიაში გატარებული რეფორმები, რამდენჯერმე დაიბარეს ქვეყნის ხელმძღვანელი პირები, მაგრამ რადგან ვერაფერი გააწვევს, ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარები შეიყვანეს... იმედი მაქვს, საქმე იქამდე არ მივა, რომ აშშ-მა საქართველოში ჯარი გადმოსხას, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი სანქციებით, სადამსჯელო ღონისძიებებ-



ით, დაფინანსების შეზღუდვით თუ ზემოქმედების სხვა ბერკეტებით, საქართველოში მოქმედი ხელისუფლების შესუსტებას და ოპოზიციის მხარდაჭერას ცდილობენ, რომელსაც ადგილზე არავითარი ელექტორალური მხარდაჭერა არ გააჩნია.

**- ახლა ხომ თავმჯდომარე შეცვალეს! იმედია, თინა ბოკუჩავა გამოუცდელ „ხაბზე“ უკეთ იმუშავებს და არჩევნებამდე ელექტორატის მოზიდვასაც შეძლებს...**

- „ნაცმოძრაობამ“ ხაბიშვილი სუფთა რუსული მეთოდით - „по состоянию здоровья“ გადააყენა. ამით, რა თქმა უნდა, არაფერი იცვლება, რადგანაც ახალი „ბოსი“ თინა ბოკუჩავა არის, ფაქტობრივად, ხაბიშვილი კაბაში, იმ განსხვავებით, რომ ინგლისური იცის. ჩემი ვარაუდით, თავმჯდომარის ცვლილება „ნაციონალური მოძრაობას“ დასავლეთიდან უკარანახეს და თავადაც მიხვდნენ, რომ არჩევნებისთვის ხაბიშვილს ვერ მოუტანდა, თუმცა, - ვერც თინა ბოკუჩავა მოუტანს. დარჩენ კვლავაც „ვივამედის“ პაციენტის ამარა.

ასევე, ხაბიშვილის „ჩამოღობორანტებით“ კიდევ უფრო ნათელი გახდა სალომე ზურაბიშვილის ფრანგული დეზოდორანტით გაპოზილი იდლიაში მოქცეული ოპოზიციის პოლიტიკური ქორეოგრაფიის ერთი პატარა დეტალი: სნობი სალომეს „ქართია-17“-ს სჭირდება ევროპა-აშშ-ისთვის მისაღ-

ბი ლიდერები, რასაც ხაბიშვილი ვერანაირად ვერ აკმაყოფილებდა. კეზერაშვილის მცდელობა, „ხაბეს“ ვიზუალი ცოტა მინც მიეხლოვებინა ევროპული სივრცის, არ გამოვიდა! ამ შემთხვევაში, მთავარი „ქორეოგრაფები“ ისევ მიზა და სალომე აღმორჩინდნენ და არა ვანო და კეზერა. აი, ხაბეს „სასტავს“ რა ეშველება, ესაა საკითხავი.

**- არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. როგორ აისახება არსებული სიტუაცია, თქვენი აზრით, „ქართული ოცნების“ ელექტორატზე?**

- სწორედ ამაზე კეთდება გათვლა, იქნებ, როგორმე „ქართულ ოცნებას“ ელექტორატის მერყევი ნაწილი გამოაცალონ. ამის საფრთხე რეალურად არსებობს, თუ ამერიკულ სანქციებს ევროპული სანქციებიც დაემატა, თუ უვიზო

რეჟიმი შეგვიჩერებს, დაფინანსება მოგვაკლვს და ეს ყველაფერი შემდეგ ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობაზე აისახა. მეორე მხრივ, შეიძლება მოხდეს ისე, რომ მოსახლეობამ დაინახოს, რომ ეს ყველაფერი სწორედ „ნაცმოძრაობის“ და მისი სატელიტი პარტიების ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით კეთდება და პირიქით, „ქართული ოცნების“ ირგვლივ მეტად გაერთიანდნენ, რათა არ დაუშვან ნაციონალურ ხელისუფლებაში მობრუნება. ვფიქრობ, რომ ამის ალბათობა უფრო მეტია.

საბოლოოდ გაირკვა, რომ, როგორც უნდა იბაქიბუქონ, ოპოზიცია ამ არჩევნებზე, ძირითადად, დასავლეთის იმედად არის. მათ ადგილობრივი მხარდაჭერის რესურსი უკვე ბოლომდე გამოფინეს და აღმოჩნდა, რომ „ალა ლუსული კანონის“ ბუტუტით, მთლიანობაში, 250,000-ზე (ოპტიმისტური დათვლით) მეტი ადამიანი ვერ „დააბოლეს“. ჰოდა, მიადგნენ დასავლეთს ევდრებით - გვიშველეთო! იმათაც - გაანძრით ხელი და გიშველეთო. „ხელის განძრევა“ კი ნიშნავს ქვეყნის ჯანჯღარს, პროვოკაციებს, დეზინფორმაციას და ა. შ. თუმცა, სიტუაციის ინტრიგა იმაშია, რომ ჯერ არცერთმა მათგანმა არ იცის, საპასუხოდ რას უშვადებს ხელისუფლება.





გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მკობერი გვინაძე:

— ბატონო ედიშერ, კონგრესში მეგობარი აქტის განხილვა გამაზრთა. რა შთაბეჭდილება დაგერჩათ?

— რა შეფასება უნდა გავაკეთო, როცა კონგრესიც, სენატიც და სრულიად აშშ-ის ადმინისტრაცია გამოშალიკოვებულა. ეს პოლიტიკური პრასტიტუტკა — შალიკო ნათელაშვილ-ფორდანაშვილ-ფალაგანდოშვილი ღალატში „დიდი პროგრესით“ წინ მიიწევს. ვაი ვაშინგტონს, ვუი დუშეთს! შალიკოც ისეთივე მოღალატეა, როგორც ის, ვინც 1795 წლის 12 სექტემბერს სახლში გაბრუნებული ალა-მაჰმად-ხანი უკან შემოაბრუნა — ერეკლეს ჯარი არ ჰყავს, დაბრუნდი და თბილისი ააოხრეო. ასევე, მორიგი ბერბიჭაშვილი, რომელმაც ილიას ესროლა. ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ერთი ასეთი სცენაა: როდესაც გურულები ომში მიდიან, ერთი მეორეს ეუბნება: წამოდი, ბიჭო, დროზე წავიდეთ ომში, თორემ წამოვიდა პიტლერი და წაგართმევს შენს სერაპიონასო. მეორე გურული პასუხობს: ჩემი სერაპიონას გულისთვის თუ წამევიდა პიტლერი გერმანიიდან, ნაღდად უკუღმა ყოფილა მისი საქმეო. ასევე აშშ-ს საქმეც. მას მთელი მსოფლიო თავზე ემხობა.

გამჭვირვალობის კანონის მხარდაჭერით 84-მა დეპუტატმა, ფაქტობრივად, ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა. შედეგად რა მოხდა? ჩვენი სუვერენიტეტის განმტკიცების მცდელობა ამერიკამ 30 პირის დასაწესირებით „აღნიშნა“.

რა არ მინახავს, წამიკითხავს, ასპირანტურაც დავაძთავრე, დისერტაციაც დავიცავი, მაგრამ ასეთი რამ არსად გამიგია — დამოუკიდებელი ქვეყნის ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებს ასანქცირებენ იმის გამო, რომ საკუთარ ქვეყანაში კანონი მიიღეს! აშშ-ის ისტორიაში ეს სამარცხვინო ფაქტად დარჩება.

— რაც შეეხება კონგრესში მოწმედ დაბარებულ ჩხიკავაძეს და საბანაძეს, ისინი როგორ შევლენ საქართველოს ისტორიაში?

— საბანაძეები და ჩხიკავაძეები, ფორდანაშვილების, იასე ფალაგანდოშვილების, ბერბიჭაშვილების, ვინც საქართველოს ინტერესებს ჰყიდდა, „ღირსეული“ შთამომავლები არიან. მათთან ერთად შალიკო ნათელაშვილიც ამ ქვეყნის სირცხვილია. ის ამბობს, მეც იმ კუთხიდან ვარ, საიდანაც სამასი არაგველი იყო. სამასი არაგველი მტერს ბრძოლაში შეაკვდა. შალიკო როგორ მოიქცა? — „ალა-მაჰმად-ხანი“ უკან დააბრუნა — ზარბაზნები არ გვაქვს და მოდი, გავა-

ნადგურეო. აი, ასეთი მოღალატეა შალიკო ნათელაშვილი, რომელმაც საქართველოს წარსულის, აწმყო-სა და მომავლის წინაშე უდიდესი დანაშაული ჩადინა. ჩხიკავაძეებს და საბანაძეებს რაც შეეხება, დაბადებიდან მოღალატეები არიან. ისინი ფულისთვის საკუთარ ცოლ-შვილს, ქმარ-შვილს მოგვიდიან.

— გამჭვირვალობის კანონი რას ცვლის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში?

— ამ პროცესმა ბევრი რამ ცხადი გახდა. ჯერ ერთი, გაირკვა, რომ ეს აგენტურა ერთი ცენტრიდან იმართება. სააშკარაზე გამოეფინენ ყოვლად უნიჭო მსახიობები, რეჟისორები, რომლებიც სცენიდან, „არა რუსულ კანონს“-ო, გაჰყვირიან. იცით, რა მიკვირს, ამას ის ხალხი

ნის გაცემასა და მოღალატეობაში „სოროსისა“ და სხვა ფორდებისგან ფულებს იღებენ. დიახ, მათ ეს ფონდები აფინანსებენ, რათა ამ უკანასკნელებმა საქართველოს ინტერესები გაყიდონ. მათი პროფესია ქვეყნის ღალატია, რაც ფორდანაშვილებისგან, იასე ფალაგანდოშვილებისგან გენეტიკურად გადმოეცათ. თავის დროზე, როცა ილია მოკლეს, ვაჟამ თქვა, ამათ რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენო. კოლექტიური „ნაცმოდრობა“ სწორედ ასე იქცევა — საქართველოს ყოველწამიერად ტყვეებს ესვრის და კლავს! ლომჯარიამ თქვა კიდევ დაუფარავად, ამისთანა მშვიდობას, მიჩრეწინა, თავზე ბომბები მაცვიოდესო. ჩვენი ოპოზიცია, ის კონსტანტინე მირზაა, რომელმაც ძმა და მამა

ვილები აკეთებენ, დავალება აქვთ მიღებული. კობახიძე, პაპუაშვილი, მდინარაძე და, საერთოდ, ჩვენი ხელისუფლების სათავეში მყოფი კაცები, დასავლეთის ინტერესებში არ შედიან. ამიტომაც ავალებენ თავიანთ ძალისშეილებს მათ შეურაცხყოფას. ამ ძალისშეილებს კი აქ თავიანთი ლეკვები ჰყავთ და შავი სამუშაოს შესრულებას მათ ავალებენ. სტუდენტმა უნდა ისწავლოს და არა ქუჩა-ქუჩა ირბინოს. სამწუხაროდ, ეს იმის ბრალაა, რომ გარე ძალებმა ჩვენი განათლების სისტემა ხელში ჩაიგდეს. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ჩვენი თაობებისთვის ეროვნული მოძრაობის ნაწარმოებელი წარმოადგენდა. ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა მუდამ არსებობდა.

# გაგოგალლიკო(ვ)ეზული აპერიკა და გეხუთე კოლონა

აკეთებს, ვისაც ბიძინა ივანიშვილმა ატყაპა, ასეა, ჩააცვა, დაახურა, თეატრი აუშენა, ესენი კი დგანან და მას ლანძღავენ და აგინებენ!!!

გუშინ სლოვაკეთის დაჭრილი პრემიერის, ფიცოს მოსახლეობისადმი მიმართულ ვუსმენდი და საქართველოში შექმნილი ვითარება დამიდა თვალწინ. ვინც დამოუკიდებლობა, ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცება მიინდომა, ყველას მიმართ ტოტალიტარი შეტევა ხორციელდება. კოლექტიური დასავლეთისთვის, რომელსაც სათავეში ამჟამინდელი ამერიკის გახრწნილი ადმინისტრაცია უდგას, ეს ყველაფერი კარგად არ დამთავრდება. აშშ-ის სათავეში ფორმალურად „ჩუჩილა“-ბაიდეია, რომელთან შედარებით კონსტანტინ ჩერნენკო პოლიტიკის ამომაგალი ვარსკვლავი იყო. ძალიან ფეთქებადსაშიში ვითარებაა, როცა მსოფლიოს ბედი, მით უმეტეს, ბირთვულ საუკუნეში, მომსახურების ზონიდან გასული ადამიანების ხელშია. არამართო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რომ ამ ჭკუიდან შემოიღებმა მსოფლიო ცივილიზაციას წირვა არ გამოუყვანონ.

— ოპოზიციამ კონგრესს წერილი გაუგზავნა, ხელისუფლება დემოკრატიათა ძირს უთხრის და დროზე გვიშველეთ, ფინანსური სანქციები მოგვაშველეთო.

— ეს ყველაფერი „შერეკილებიდან“ იმ ეპიზოდს მახსენებს, სადაც ერთ-ერთი გმირი ამბობს, მრეკეთ თავში, ქალბატონო მარგალიტა, მრეკეთო. მეხუთე კოლონა ასე ფულისთვის ირჯება. ისტორიაში ღალატის ფაქტი უამრავია. ქართველები ხან ოსმალებში დარბობდნენ, ხან ირანში და სულთნებს, შაჰებს ეხვეწებოდნენ, საქართველოში ჯარი შემოიყვანეთო. მათ პირადი ინტერესების დაკმაყოფილების ხარჯზე ქვეყნის არევა სურდათ. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ერთი რამ: ვინც ამას სჩადიოდა, ცალკეული მეფე-მთავრების წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ ქვეყანა არ სძულდათ.

მეხუთე კოლონას კი ქვეყანა სძულს, რასაც თავისი „საქმით“ ამტკიცებს. ესენი შტატისანი მოღალატეები არიან, რომლებიც ქვეყ-

(კახთა მეფე ალექსანდრე) საკუთარი ხელით მოკლა. აი, ვისი შთამომავლები არიან. მერე კონსტანტინე თავად დამპყრობლების შეკვეთით მოკლეს. ამ საცოდავ მეხუთე კოლონას რა ჰგონია?! მათ ყველას გამოიყვანენ და მერე სათითაოდ დახოცავენ.

აქვე, კიდევ ერთ საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას, სტალინმა თქვა, მშობლის ქცევაზე, შვილი პასუხს არ აგებსო. ტოტალიტარულ სახელმწიფოებშიც კი, შვილი მშობ-

დღეს პროფესორ-მასწავლებლების გარკვეული ნაწილი ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ გამოდის. მათი დიდი ნაწილი უცხოურ ფონდებზე დამოკიდებული და სალაფაეს ერთი დიდი ქვაბიდან თქველფეს. ძალისშეილების ლეკვებიც ამ სალაფაიდან წრუპავენ და იმიტომაც იქცევიან ისე, როგორც იქცევიან. პრემიერმა მათ შესთავაზა, დაესხდეთ და ვისაუბროთ, მოგისმენთ რა არგუმენტები გაქვთო. ესენი რას პასუხობენ? —



ლის საქციელზე პასუხს არ აგებდა. ესენი რას ამბობენ? მოწმე საბანაძემ განაცხადა, ხელისუფლების წარმომადგენლების შვილებმა ვეროპის უნივერსიტეტებში არ უნდა ისწავლონ! ანუ, მათ შვილებსაც სანქციები უნდა დაუწესდესო. გახსოვთ, პრემიერის შვილის გამო „მართვე“ ამერიკაში რომ არ გაუშვეს? ეს მარაზშია. მალე, ალბათ, ამერიკაში „მგლის ბილეთს“ შემოიღებენ. ვგნატე ნინოშვილი, რომელიც ცარიზმის წინააღმდეგ იბრძოდა, სემნარიიდან გარიცხეს, „მგლის ბილეთი“ მიცეს, ანუ ვერცერთ სასწავლებელში ვერ შევიდოდა. აი, ამ დონეზე დასული ერთ დროს დემოკრატიათა საგანდ წოდებული ამერიკა. ეს სასაცილოც აღარ არის. შალიკო, ვანიკო, საბანაძეები, მეხუთე კოლონა ამათი ძალისშეილები არიან, რომლებიც აყროლებულ ლეშსაც შეტყაშენ, ოღონდ ფული ჯიბეში ჩაიღონ.

— უნივერსიტეტის მეორე კორპუსთან პრემიერს აქცია მოუწვევს — „დავხვდეთ კობახიძეს“... — ამას სწორედ ეს ძალისშე-

შინაარსში არ შემოვდივართ, „არა რუსულ კანონს“ უნდა ვიძახოთო. ე. წ. ახალი თაობის პროფესორებიც იგივეს იმეორებენ, შინაარსში არ შემოვდივართ, კანონი რუსულია და მორჩაო. ეს ხალხი დაპროგრამებულია. კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა, კაცი რომ მოთმინებიდან გამოიყვანო, ის უნდა დააბრალო, რის წინააღმდეგაც იბრძვისო. ჩემმა თაობამ რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ იბრძოლა და დღეს რუსოფილებს გვიწოდებენ. თუ იტყვი, რუსეთი ჩვენი მეზობელია, მის გარეშე დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება ვერ მოხდებაო, მაშინვე მოგამახებენ, რუსი ხარო. მათ ვკითხვით: რა გააკეთა კოლექტიურმა დასავლეთმა ამ ოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიების დასაბრუნებლად?! ახალგაზრდები ვერ ერკვევიან ვითარების რეალურ არსში და ამაში, ისევე და ისევე, დამნაშავე განათლების სისტემაა, რომელსაც გარე ძალები დღესაც აკონტროლებენ. ყველას ვურჩევ, მაგალითი ტექნი-

კური უნივერსიტეტის რექტორის დავით გურგენიძისგან აიღონ, რომელმაც იცის, როგორ დახვდეს მტერსაც და მოყვარესაც და სამშობლოს ემსახუროს. სამწუხაროდ, გვეზრდება თაობა, რომელსაც ჰგონია, რომ თავისუფლება ერთი ბატონის მერეთი შეცვლია.

— ბატონო ედიშერ, კონგრესმენი სტივენ კოენი სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით დაინტერესდა. განაცხადა, რომ მას ციხეში აწამებენ.

— ეს ისევე და ისევე იმაზე მეტყველებს, რომ ამერიკის საკანონმდებლო ორგანო გამოშალიკოვებულა. დევრადაციის პროცესი დაწვებულია. აშშ-ის ადმინისტრაცია სანქციებს უწევს ჰაავის სასამართლოს მოსამართლეებს. ამის მერე რაღაზე ვლაპარაკობთ! სტივენ კოენი საერთოდ გასულია მომსახურების ზონიდან. ეს არის ამერიკაში ბოლოს ჩატარებული არჩევნების გაყალბების შედეგი. შემთხვევითი როდი იყო, კონგრესმენებდ მკვდრები რომ აირჩიეს. დააკვირდით, სტრასბურგის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სააკაშვილი ციხეში სამართლიანად ზის და ის არავითარი პოლიტპატიმარი არ არის. კოენი კი საპირისპიროს გვიმტკიცებს, რადგან სააკაშვილი მათი ძალისშეილია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამერიკის სახელმწიფო ბიუროკრატია ჩამოლა და ქორუგოეული მკურნალობა სჭირდება, რაც 5 ნოემბერს მოხდება, როცა იქ ხელისუფლება შეიცვლება და ახალი ძალა მოვა, რომელიც ვითარებას გააჯანსაღებს.

— „ვეროპელმა რადიკალებმა“ ფანჩატურიდან ორბელიანის სასახლეში გადაინაცვლეს. ამ პროცესს როგორ შეაფასებთ?

— ნულს რომ ნული მივეუბნოთ, რამე იცვლება? — აი, ამის ტოლფასია ზურაბიშვილის ქართიაში გაერთიანება.

მეხუთე კოლონა თავისი პატრონების მსგავსად, მომსახურების სფეროდან არის გასული. საქართველო ლომჯარიების, გიგაურების, კორძაების, ბუხრეკი სალომეების სასაბარეო მოედანი არ არის. ეს ქვეყანა საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს ეკუთვნის. ოპოზიციამ ასე თუ გააგრძელა, „ქართული ოცნება“ 60%-ს კი არა, 70-75%-ს აიღებს. ახლა, ორჯერ გათხოვილ კაცს — როთს თუ ჩამოიყვანენ და მას მამულს, ენას და სარწმუნოებას ალანძინებენ, დამიჯრეთ, მმართველი გუნდი არჩევნებში 99%-ს მიიღებს, რადგან ქართველი კაცი ილიას ტრადიციის შეურაცხყოფას არავის აპატიებს!

თამარ შველიძე



# ქართველს ბაზონი არ უყვარს - ამ არჩევნებზე ოპოზიციის გაპარჯვის შესი ნულია



გვესუბრება პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი:

- ძალიან სამწუხაროა, რომ აშშ-მა საქართველოს წინააღმდეგ სანქციების პაკეტი გამოაცხადა. დიას, სწორედ საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული ეს ყველაფერი და არა კონკრეტული თანამდებობის პირების მიმართ. სხვანაირად რა ახსნა აქვს იმას, რომ ანგარიშს არ უწევინ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეულ ხელისუფლებას და ეთანხმებთან მცირე რაიკალური ჯგუფების ნება-სურვილს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ესენი არიან მათი დასაყრდენი! მომავალ ხელისუფლებაშიც სწორედ მათ მოიპოვებენ.

საინტერესოა, მომავალ არჩევნებში, თავისი ერთგული ჯგუფების დამარცხების შემთხვევაში, როგორ მოიქცევა ამერიკა?! ომს გამოუცხადებს საქართველოს, თუ შეეცდებიან, ყველანაირი დახმარება აღმოუჩინონ რაიკალებს არეულობასა და გადატრიალების მოწყობაში? მათ არ იციან, რომ საქართველოში მუქარა არ ჭრის, თან მაშინ, როცა სიმართლე ჩვენს მხარესაა. ქართველი ხალხი აპირებს, გამოიჩინოს სათანადო პრინციპულობა და ღირსეულად გაიმარჯვოს არჩევნებში. უცხოეთიდან "გაყალბდა, გაყალბდას" ყოფინი ვერ გაამართლებს, არეულობის მომწყობები სათანადოდ და კანონიერად დაისჯებიან, ორ ქვეყანას შორის უკვე გაჩენილი ბზარი კი უფრო გაღრმავდება.

თუ მათი დამოკიდებულება საქართველოსადმი არ შეიცვალა, ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გაჯანსაღება აშშ-ის ახალ ადმინისტრაციას მოუწევს, რომელსაც უკვე საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ამერიკის არსებული ხელისუფლება. ჩვენ კი მეტი შემართება მოგვეცემა იმისათვის, რომ ქვეყნის ღირსების შენარჩუნებით, საქართველოში რაიკალიზმი ერთხელ და სამუდამოდ დავამარცხოთ.

- კონკრეტულად რა დაგვანახვა ამ სანქციებით აშშ-მა, ბატონო ლევან?

- ამერიკის მიერ გამოცხადებული სანქციებმა კიდევ ერთხელ მოგვცა დაფიქრების საშუალება, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ასეთ არამეგობრულ დამოკიდებულებას მათი მხრიდან. პირველ

რიგში, მათ გაახარეს ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი და ე.წ. კრიტიკული ტელევიზიები, მისცეს მათ სალაპარაკო თემა, რათა კიდევ მეტად იბაჰიბუქონ, თუმცა მათ რეიტინგსა და საზოგადოებრივ აზრზე ეს უფრო უარყოფითად აისახება, ვიდრე დადებითად.

ამ ქვეყანაში კატეგორიულად ვერ იტანენ უცხოის მიერ საქმეში ჩარევას და არც უცხოელებთან დასმენა მიიჩნევა ღირსეულ ნაბიჯად. ამიტომ, ამერიკელები უნდა დაფიქრდნენ, მათმა გაუაზრებელმა ნაბიჯმა ამომრჩეველი უფრო ხელისუფლების მხარეს გადაქანა თუ ოპოზიციის?!

გარდა ამისა, უცხოელებმა მშვენივრად იციან, რომ არჩევნების მოსაგებად კი არა, მინიმალური წარმატების მისაღწევად არ ჰყოფნის თავისი ძალები ოპოზიციას და არცთუ ისე მცირე ფინანსური დახმარება ესაჭიროება. ეს ჩვენმა ხელისუფლებამაც იცის და დაახლოებით წარმომიდგენია, რა მიმე მდგომარეობაში ჩაყარდება დამფინანსებელიც და დასაფინანსებელიც, თუ შესაბამისმა სტრუქტურებმა შავი ფულის არხები გადაკეტა. არც უკრაინული „მიდანის“ ქართული ანალოგის გაკეთების საშუალებას მისცემთ ხელისუფლება, ასე რომ, აქაც ფიასკო ელოდებათ.

ამერიკის ამ შეცდომის საფუძველზე, ქართველი საზოგადოება შეიძლება დაფიქრდეს, რომ, თუკი ეს არის დასავლური ფასეულობები, მათი გადახედვის საჭიროება ხომ არ დგება? რა თქმა უნდა, ეს პირდაპირ რუსეთისკენ მიტრიალებას არ ნიშნავს, მაგრამ თავად რუსეთი რომ შეეცდებამ ამ სიტუაციიდან ხელის მოთხოვას, ფაქტია.

გარდა ამისა, სამხრეთ კავკასიაში არსებულ სიტუაციას თუ გადავხედავთ, არც ამერიკელებს და არც ევროპელებს არ უნდა აწყობდეთ საქართველოსთან ურთიერთობის გაფუჭება. თუმცა, როგორც ჩანს, იმდენად ძლიერი აღმოჩნდა ადგილობრივ ხელისუფლებასზე კონტროლის დამყარების სურვილი, რომ კავკასიაში თავიანთი გავლენის შემცირებაზეც თანახმა არიან, რაც კატასტროფულ შეცდომად მიმაჩნია.

ვიზების შეზღუდვა კარგი არ არის, რა თქმა უნდა, უსამართლობაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს,

რომ ჩამოინგრევა ყველაფერი, როგორც გვემუქრებოდა, არა ვართ დამოკიდებული ჩვენ მათზე. ვისზეც ვართ დამოკიდებული, მათთან გვაქვს კიდევაც საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა. რაც შეეხება იმ დახმარებას, რის შეწყვეტითაც აშშ გვემუქრება, აქედან ნახევარი არასამთავრობო სექტორზე მიდიოდა. მეორე ნახევრის გარკვეული ნაწილი კი თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროზე იხარჯებოდა, თუმცა სანაცვლოდ, ჩვენ გვექონდა ერაყსა და ავღანეთში სამხედრო სამსახურის ვალდებულება. რომ შევაჯამოთ, საქართველო ამერიკელებისგან არ იღებდა იმ სახის დახმარებას, რასაც ეკონომიკურ სფეროში ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

- ამერიკის ამ გადაწყვეტილებას საზოგადოების სრულიად

პრობლემებს თავად ამერიკელებს. ასე გამოსდით საქართველოსთან მიმართებაშიც. არა უშავს, ჩვენ ჩვენს არჩევნებს უმაღლეს დონეზე ჩავატარებთ, სადაც საბოლოოდ მოხდება რაიკალების პოლიტიკურად განადგურება, შემდეგ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებს დაველოდებით, რომელსაც თავად ამერიკელი ამომრჩეველიც სულმოუთქმელად ელოდება. დამერწმუნეთ, აქაც და იქაც, აუცილებლად საღი აზრი და ჯანსაღი ძალა გამარჯვებს.

ეს ყველაფერი შევაჯამოთ და ვნახოთ, რას იგებს საქართველოს ხელისუფლება, ოპოზიციისა და ამერიკის ხელისუფლება ამ იძულებითი სანქციებით. ოპოზიციას ამით არაფერი ემატება, როგორც ხელმოცარულები და ჩამოშლილები იყვნენ, ისევე რჩებიან. დააკვირდით

დება. ფული კი ვეღარ შემოვა! ხელისუფლება თუ პრინციპულობას გამოიჩინოს, არც არეულობას დაუშვებს, ამას ისინი გრძნობენ.

- თუმცა, ქართველმა რაიკალებმა ამერიკელი კონგრესმენები არჩევნებზე სწორედ იმის გამო მოიწვიეს, რომ არეულობის მოსაწყობად სთხოვონ დახმარება...

- რაც უნდა გვითხრან, ავტორიტეტი დაკარგული აქვთ ამ კონგრესმენებს ჩვენი ქვეყანაში. მხარი რომ დაეჭირათ კანონისთვის, პირიქით, მათი ავტორიტეტი გაიზარდებოდა, ახლა კი ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია დაიხურება. მე შენ გეტყვი, პატრიოტები არიან?! - თუ ფული ვეღარ გააკეთეს, მეტი რა აინტერესებთ მაგათ! მე ვიცი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ამერიკელებთან თანამშრომლობს, მისაუბრია



სამართლიანი უკმაყოფილება მოხვდა, მაგრამ როგორ აისახება ეს ყველაფერი მოსახლეობაზე არჩევნების შედეგებზე საქართველოში?

- მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ არც მუქარის, არც შანტაჟის და არც კარნახის პოლიტიკით საქართველოსთან საუბარი არ ამართლებს, მით უმეტეს, რომ ახლა თავად ამერიკელები უფრო დიდ დამოწვევებს წინაშე დგანან, როგორცაა: რუსეთ-უკრაინის ომი, ისრაელ-პალესტინა-ღაზას საკითხი და ბოლოს, კარს მომდგარი საპრეზიდენტო არჩევნები.

აშშ-ის ერთ-ერთი ნაკლი, რაც მას საგარეო პოლიტიკური მიმართულებით გააჩნია, გახლავთ ის, რომ არც თუ იშვიათად, ფსონს ავანტიურისტებზე ან ხელმოცარულ ვიგინდარებზე დებენ, რაც არ, ან ვერ ამართლებს, ან იქით უქმნიან

მათ სახეებს, წესით და რიგით, ყველა უნდა იყოს გახარებული, თუმცა, ისეთი გამწარებული და გაბრაზებული სახეები აქვთ, რომ ცოტა დავიბნეო... მერე მივხვდი, ეს რეალურად ნიშნავს, რომ ქართველები ოქტომბრის არჩევნებზე სამუდამო სანქციებს დაუწესებენ ოპოზიციას, მათ კი პარლამენტის გარეთ დარჩენა არ უნდა... ეს არის ამერიკელების სტრატეგიული პარტნიორობა. აქვთ ხელისუფლებასთან ურთიერთობა გაიფუჭეს და იქით ოპოზიციის ქუჩის ოპოზიციად აქციეს, არასამთავრობოებს ხომ საერთოდ, მგონი, უფულოდ ტოვებენ...

საქმე შეიძლება მხოლოდ სალომე ზურაბიშვილს გამოუჩნდეს, როცა არჩევნებზე მისი მანქანა ქართული ქარტია სრულ ფიასკოს განიცდის. ვურჩევ, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, რუსეთის წინააღმდეგ უკრაინაში საომრად წავიდეს საფრანგეთის სახელით...

მაგათ ეგონათ, რომ სანქციებით ეს ხელისუფლება გადადგებოდა, ჩამოშლებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. არჩევნებში ოპოზიციას მათი დასანქცირებით მოემატება თუ არა ამომრჩეველი?! - პირიქით, ვინც მერყეობდა, ახლა გაბრაზებულია, რადგან უცხო ქვეყნა ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარიეს. ქართველს ბატონი არ უყვარს და ოპოზიციის გამარჯვების შესანიშნავი არჩევნებზე ნულია. ამას ემატება ოპოზიციის აქციების მოწყობის სურვილი არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ, რასაც ფული სჭირ-

მათთან და ისინი ამბობენ, რომ არავითარი პრობლემა არა აქვთ, რომ შეავსონ დეკლარაცია. არაფერი აქვთ დასამალი და იმიტომ! დარჩება ასეთი არასამთავრობოები და ბევრ კარგ საქმეს გააკეთებენ ჩვენი ქვეყნისთვის.

ამერიკის არჩევნებამდე არც ისე დიდი დროა, ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. ტრამპმა მაქსიმალურად შეეცდება, რუსეთთან ადაღვიონოს ურთიერთობები, უფრო სწორედ, დაარქვას ყველაფერს თავისი სახელი. ახალ ადმინისტრაციას კი, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში მოვა აშშ-ში (ეს ტრამპი იქნება თუ სხვა, მნიშვნელობა არა აქვს, რესპუბლიკელი რომ იქნება, ფაქტია), ახვედრებენ გაფუჭებულ ურთიერთობას საქართველოსთან, სადაც თავიანთი გავლენა შეამცირეს იმის გამო, რომ კონტროლი ვერ გააძლიერეს. ძალიან ბევრი ბრალდება და კრიტიკა იქნება ამერიკის არსებული ხელისუფლების მიმართ, არამარტო საქართველოსთან, არამედ, უკრაინასთან, გაურკვეველ ხარჯებთან და სხვა უამრავ საკითხთან მიმართებაშიც, როდესაც ადმინისტრაცია შეიცვლება. თვითონ ამერიკელები წაუყენებენ ბრალს მათ ამ გაუაზრებელი პოზიციების გამო.

როდესაც სააკაშვილზე ამბობ, რომ პოლიტიკური პარტიმარია, რომ ის წამების მსხვერპლია, ნამშობლარი, სასიკვდილოდ გადადებული და არ ამბობ, მისი მმართველობის დროს რა უბედურებები ტრიალებდა ამ ქვეყანაში, რომ მან რუსეთის





# არს ის მიკვირს, მოზიხის საფუძვლად დალატი ჩვევად რომ ექნა...

← 383.

გვეშვებთან?! რითა უკეთეს ერთი ბატონი მეორეზე? ნაცნობ ვაის გავქვეყნით და უცნობ უის შევეყვართ, ისეთების მიღება და შესრულება მოითხოვს, ყოველად მიუღებელი რომ არის ჩვენთვის, აბსოლუტურად სხვა განზომილების მენტალობაში რომ არის.

უბატონო საქართველო რომ მინდა, ამიტომ ვარ ცუდი საქართველო?

ვიწვნივთ, რასაც ნიშნავს „უფროსი ძმა“, „სტრატეგიული პარტნიორი“, „მეგობარი ქვეყანა“, „დაუძინებელი მეგობრები“ და ვგებ, გვატყვიან ახლა — ყველას მეგობარი, დამოუკიდებელი და ლაღი საქართველო მინდა!

რა დამავიწყებს, აშშ-ის ელჩი, კელი დეგნანი ვიღაცის გარეშე რომ იჯდა და საქმის გარეშე იღებდა მონაწილეობას! ამხელა ქვეყნის ელჩი, „ჩერდაკის“ კატასავით იჯდა

ლობა აქვს საფრანგეთის დემოკრატიის გასაძლიერებლად, რომელიც შიგნიდან და გარედან თავდასხმის საშიშნეა“, — განაცხადა ემანუელ მაკრონის კაბინეტის წევრმა ფრანკ რიტერმა.

ეს როგორ? საქართველოში დემოკრატიისთვის ძირგამომთხრელია და საფრანგეთში დემოკრატიის გამაძლიერებელი? და შემდეგ რა მოხდა, ფრანგი კანონმდებლები არ დაასანქცირა აშშ-მა?


აი, ასეთ ორსახოვნებას რომ ხედავ, ბუნებრივია რომ უარყოფითი დამოკიდებულება გიჩნდება ადამიანს ყველა ორმაგი სტანდარტის გამტარებლის მიმართ. მაკრონი არ იყო, შოლცთან ერთად თითო რომ გვიქნა, არ მიიღოთ ეს კანონი, თორემ ევროპულ ფასეულობებს დასცილდებით?

რაც მაკვირებს, მოკლედ გადმოგვითხარ და ახლა მეორე გასაკვირი ამბავი, „ატლანტიკურმა საბჭომ“ საქართველო მმართველობის რეჟიმის

გასაკვირი ამბავი არ არის? ერთნი გვაქებენ წინსვლისთვის, მეორენი გვაძულებენ უკუსვლისთვის — უკაცრავად, იქნებ, ვინმემ დალატულად ამიხსნას, რასთან გვაქვს საქმე და რეალურად წინ მივდივართ, უკან თუ ადგილზე ვტორტმანებთ?

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებს, ალბათ, ასეთ შემთხვევებზე ითქმის...

ფაქტი ის არის, რომ აშშ ოპოზიციას ახალი სხვა შემდგომი მანქანები უნდა დაეხმოს, მე კი ამასობაში კიდევ ერთი საკვირველი ამბავი დამესწრო — გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ რუსული ენის დღე აღნიშნა. შესაბამისი ინფორმაცია ორგანიზაციის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა. „რუსული ენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური ენებიდან ერთ-ერთია. ყოველწლიურად, 6 ივნისს გაერო რუსული ენის დღეს აღნიშნავს,“ — ნათქვამია განცხადებაში.



გარეშე და აშშ-ის რაღაც ინტერესებზე ლაპარაკობდა, მსმენელს აბოლოებდა თავისი ჭკუით. მსოფლიო დიქტატორ აშშ-ს სხვა საქმე არ ჰქონდა და ვაკეში ვის ეკუთვნის გარეა, აშშ-ის პოლიტიკის განმსაზღვრელი იყო? ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ყველა ელჩი, განსაკუთრებით კი აშშ-ის ელჩები, იყვნენ საქართველოს შიდა საქმეებისა და კანონმდებლობის განმსაზღვრელები, ვინ შეუბრუნებდა ენას.

ბატონმა პრემიერმა გაიხსენა: „მახსოვს, ერთ-ერთი კონფერენცია გაიმართა, არ მახსოვს ზუსტად, ალბათ, 2018 ან 2019 წელს. ეს კონფერენცია ეხებოდა დათქმებით საგარეო დახმარების გაწევის პერსპექტივას და მაშინდელმა ელჩმა იან კელიმ გააკეთა ასეთი განცხადება, რომ აშშ-ის შემთხვევაში დათქმებს არ ჰქონდა მანდატი და დიდი დატვირთვა იმიტომ, რომ ამერიკული დახმარება ძირითადად ხორციელდებოდა „ენჯელების“ მეშვეობით. აქედანაც შევძლიათ გამოიტანოთ დასკვნები. როდესაც საქმე ეხება „ენჯელების“ დაფინანსებას, მე ამას ნამდვილად ვერ დავარქმევდი დახმარებას.“ არც არის დახმარება, — საქართველოს თუ ენებზე, რა შუაშია, რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია?

„უცხოური ჩარევის წინააღმდეგ კანონის გადამწყვეტი მნიშვნე-

მიხედვით უმაღლეს კატეგორიაში დაასახელა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მინიჭებული აქვს თავისუფალი ქვეყნის სტატუსი. აღნიშნული ინდექსი რამდენიმე საზომით დგინდება. გამოქვეყნებული ინფორმაციით დგინდება, რომ საქართველო ევროკავშირის კანდიდატობის წევრ ქვეყნებში ერთადერთია, რომელსაც უმაღლესი კატეგორია მიენიჭა.

„ატლანტიკური საბჭო“ 164 ქვეყანას ყოფს ოთხ კატეგორიად: თავისუფალი, უმეტესწილად თავისუფალი, უმეტესწილად არათავისუფალი და არათავისუფალი. საქართველო 45 თავისუფალი ქვეყნის ჩამონათვალში მოხვდა. ეს შედეგი განისაზღვრება სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური მაჩვენებლებით. საქართველო და ხორვატია გამოირჩევიან ნახტომისებურ პროგრესით. 10 წლის განმავლობაში საქართველო 23 საფეხურით დაწინაურდა. ამ მდგომარეობით საქართველო უსწრებს ყველა კანდიდატ ქვეყანას, ნატო-ს წევრ ქვეყნებს და ევროკავშირის ორ წევრ ქვეყანას. კანდიდატ ქვეყნებს შორის საქართველო ერთადერთია, ვინც უმაღლეს კატეგორიაშია.

ოპოზიციისთვის არც ეს ინფორმაცია გახდა სასიხარულო, თურმე „ქართული ოცნება“ მაინც ყველაფერს აფუჭებს და ეს პატარა-პატარა გამონათებები დიდი არაფერია.

რა თქმა უნდა, აღნიშნულ ინფორმაციას მყისიერად გამოეხმაურნენ უკრაინელები და რუსთომოლები, ბარემ „პიტლერის დღე“ დააწესეთ და აღნიშნეთო. აკი ვთქვი, რაღაც ვერ არის მთლად დალატულად, მთელი ე. წ. დასავლეთი რუსეთის ებრძვის და მაინც „რუსული ენის დღეს“ აღნიშნავენ...

ამასობაში სალომე სამადაშვილის სეფე-სიტყვაც წამოემწია და აქამდე საგონებელში ვარ, ნეტავ, რა იგულისხმა? „მიხედნენ რომ სამშობლოს დალატი ყველაზე დიდი გომობაა და მათი ისტერიკის მიზეზიც ესაა“, — დაასკვნა დიდმა „სევეტმა“ გენიამ.

„ბრიუსელის სიგნალი“ დაიწვილა, საქართველოს კანონმდებლობა თითქოს ნერვებს უშლის დასავლეთის ქვეყნებში გავლენიანი ადამიანების სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც შედეგად არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან. „თითქოს“ უშლის კი არა, ძალიანაც უშლის...

მოკლედ, გოცების კვირა მქონდა და იმის იმედი დაძვრა, რომ ქართულ-ამერიკული ურთიერთობები გაჯანსაღდება, საფუძვლად ნამდვილი მეგობრული და პარტნიორული საწყისები დაედება და არა ბატონმეორე...

ზურა ოზმირაძე

ნონა ძარძაძე



# ამერიკა ცდება, თუ ფიქრობს, რომ კუთხეში დაგვაცენებს



**გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „გოფილი პოლიტიკატივები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კუმბურიძე:**

— ქალბატონო ნანა, კონგრესში გამართულ შეხვედრაზე კონგრესმენებმა აღნიშნეს, რომ საქართველო ახლა იმ მდგომარეობაშია, რომელშიც 2014 წელს უკრაინა იყო...

— დიახ, ეს მსჯელობა „მეგობარი აქტის“ განხილვისას გამართეს. პირველ რიგში, ვიტყვი, რომ ეს მეგობარი კი არაა, ცინიზმის აქტი იყო. რაც ქართველ ხალხს სტრატეგიული პარტნიორობა გვეკონა, ბლეფი აღმოჩნდა. აშშ-ის სურვილი საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ საზარბაზნე ხორცად გამოყენებაა. ანუ, მას რუსეთის იმიჯის შელახვა უნდა და ამის გამო საქართველოსგან ისეთი ნაბიჯების გადადგმას ითხოვს, რაც, შესაძლოა, ქართველი ხალხის, ქართული სახელმწიფოს განადგურებით დასრულდეს. რუსეთს რომ ჩრდილი მიაყენონ, ამისთვის პატარა საქართველოს სწირავენ. მერე იტყვიან, აი, რა მონსტრია რუსეთი, აგერ, საქართველოსაც ეომებაო. ამისთვის უნდა გაგვეხსნა აქ მეორე ფრონტი? ფაქტობრივად, ამერიკამ ღიად დააფიქსირა, რომ ჩვენ რუსეთის წინააღმდეგ გამოსაყენებელ იარაღად ვჭირდებით.

პროვოკაციას არ აყვებით და შედეგად რა მივიღებთ? — გამჭვირვალობის კანონის მიღების გამო, რომელიც ამერიკაში თითქმის ასა წელია მოქმედებს, ხელისუფლება დაასანქცირეს. პარადოქსი ის არის, რომ საპარტიოპოლიტიკო საპროცედურულ ორგანოს წარმომადგენლებს სანქციონებს უშვამს, სადაც ადამიანებს დღემდე სიკვდილით სჯიან. ზოგ შტატში სიკვდილით დასჯა ელექტროსკამით ხდება. და ასეთი ქვეყანა ჩვენ გვიქნეს თითს, გამჭვირვალო-

ბის კანონი გაიწვიეთ, თორემ ევროკავშირში ვერ გაწევრიანდებით. აშშ-ს მსოფლიო ჰეგემონობაზე აქვს პრეტენზია, ადამიანების სიკვდილით დასჯის კუთხით „დემოკრატიის მამა“ და ჩვენ გამჭვირვალობის კანონის მიღების გამო ევროკავშირის კარის მიხურვით გვემუქრება. რეალურად, იცით, რის ბაჟო გვაპირებენ? — იმისთვის კი არაა, რომ პანონი მივიღოთ, არამედ მთელი მსოფლიო რომ არ გავსაძინოთ და ძველად არ დაგვამცვიოთ. გვეუბნებიან, თუ დაგვემორჩილებით, ამერიკაში ჩამოსვლის საშუალებას მოგცემთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჟანგბადს გადაგიკეტავენ.

თუმცა ამერიკელებს ავიწყდებათ, რომ დღეს მსოფლიო სხვა რეალობის წინაშე დგას. სჯობს იმაზე იფიქრონ, არსებობს თუ არა როგორ გააგრძელებენ. ამ სუპერ-სახელმწიფოს არც კი რცხენია, ისე ეჭვიდავება ამ პატარა ქვეყანას. ლამის ბაიდემა გააკრიტიკოს კანონი, რომელიც მთელ ევროპაში მოქმედებს. აშშ-ში და ევროპაში შეიძლება ამ კანონის მიღება, თან, გაცილებით მეტად, ჩვენ კი, რატომღაც, გვეკრძალება. აი, ასეთი სამართალი აქვს დღეს დასავლეთს. მაინტერესებს, რით განსხვავდება ის 20-იანი წლების ბოლშევიკებისგან? რა უნდათ, საქართველო ერთ დიდ ორმოდ აქციონ, სადაც რუსეთი ბოშს ჩააგდებს და განადგურებს?! ქართველი ახალგაზრდობის საზარბაზნე ხორცად გამოყენება უნდათ.

ერთადერთი ის მაიმედებს, რომ მსოფლიოში მყარად ფეხმოკიდებული ფსევდოლიბერალები, ნეოფაშისტები მმართველობას ჩამოშორდებიან და მსოფლიო ნორმალურ კალაპოტში მსვლელობას გააგრძელებს, საზოგადოებაც იმდენად განვითარდება, რომ არცერთ სახელმწიფოს მეორეს მიმართ ვასალური, მონური დამოკიდებულება აღარ ექნება. ამერიკა გვეუბნება, ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში საქართველოს განვითარებაში ექვსი მილიარდი დოლარი ჩავდეთო. აქედან, 5.5 მილიარდი დოლარი აქ მეხუთე კოლონის, თავისი აგენტურის შექმნას და გამოკვებას მოახმარეს.

იმედია, ხუთ ნოემბერს აშშ-ის

ხელისუფლებაში ახალი, კონსერვატორული ადმინისტრაცია მოვა, რომელთანაც ნაყოფიერად ვითანამშრომლებთ. საქართველო მსოფლიო ეკონომიკური ჰაბი გახდება. ჩვენი წინსვლა, განვითარება გარდაუვალი პროცესია. ერთხელაც, საქართველოს ხელისუფლებას ყელში ამოუვა ამერიკის თავნებობა და აშშ-ის საელჩოს ეტყვის, დატოვეთ საქართველოს ტერიტორიაო. თუ ამერიკა ასე გააგრძელებს მოქცევას, ეს პროცესი შორს აღარ იქნება. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორი ვართ. ჩინეთისთვის საქართველოში სტაბილური გარემო და მშვიდობიანი განვითარება უმნიშვნელოვანესია. აქ ხომ მისმა ტვირთებმა უნდა გაიაროს. ასე რომ, ჩვენ მარტო აღარ ვართ, როგორც ეს ადრე იყო. აქ ბევრი სახელმწიფოს ინტერესი იკვეთება. ბუნებრივია, ისინი საკუთარ ინტერესებზე იზრუნებენ და არ დაუშვებენ, ჩამიძვინდეს ამერიკა მუშტების ქნევით, სანქციებით, დასჯით, კუთხეში დაყენებით და ბოლშევიკური მეთოდებით დაგვემუქროს.

აშშ ჩვენი მსგავსი პატარა ქვეყნებისგან წინააღმდეგობას მიუხედავად და პკონია, რომ სულ ასე გაგრძელდება. ჩვენ სუვერენიტეტისთვის ვიბრძვით, რამაც აშშ აღაშფოთა. მისმა აგენტურამ ამერიკა დიდ აბსურდში შეიჭრა — ღიად გამოაშკარავდა, რა ძალებს მფარველობს საქართველოში დასავლეთი. გამჭვირვალობის კანონმა მართლაც ძალიან დიდი საქმე გააკეთა. კანონი ჯერ კიდევ არ იყო მიღებული, როცა იმ დამფინანსებლების ლუსტრირება მოხდა, რომლებიც ქვეყანაში ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლას გეგმავენ. ნჯო-ები აქ იმ ფასეულობებს კი არ ემსახურებიან, რისთვისაც, წესით, შეიქმნენ, არამედ სახელმწიფოს დანგრევას. ეს ორგანიზაციები იძულებული იქნებიან, რეესტრში დარეგისტრირდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაეკისრებათ ჯარიმა და თანხის გადაუხდელობის შედეგად, მათი ანგარიშები დაიხურება და კანონის ფარგლებში საქმიანობა აკრძალდება. თუ უკანონოდ იმოქმედებენ, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ. კანონმა გააკეთა ის, რომ ნჯო-ების

დაფინანსების წყარო საზოგადოებისთვის გამჭვირვალე გახდება და მეხუთე კოლონა თავის დამფინანსებლებიანად ასე თავაშეკრული ვეღარ იქნება. ვინც რეესტრში დარეგისტრირებაზე უარს იტყვის, საკუთარი თავის ლუსტრირებას თავადვე მოახდენს.

— როგორ ფიქრობთ, რა ფორმას მიიღებს მიმდინარე პროტესტი?

— ეს პროტესტი დღეს არ დაწყებულა, ოპოზიცია არეულობის, დესტაბილიზაციის მოწოდებით ხელისუფლების ჩამოშლას იღიბნა, ცდილობს. ასე რომ, მაიდა-

სხვა რისთვის უნდა ეშხადონ? მათი ადგილი პოლიტიკურ სანაგვეზეა.

— ოპოზიცია ნიშნისმოგებით ალაპარაკდა, სანქციებზე მთავრობამ საარჩევნო კამპანია როგორ უნდა წარმართოს...

— ჯერ ერთი, დავიწყეთ იმით, რომ ეს დასანქცირება კი არაა, დამანტაჟებაა. აბა, დამისახლოონ ერთი გვარი მაინც, ვინც დაასანქცირეს?! დასანქცირებული პირები ამის შესახებ მხოლოდ მაშინ გაიგებენ, როდესაც საელჩოში განცხადებას შეიტანენ და ფულსაც გადაიხდიან, რასაც მათ უკან არავინ დაუბრუნებს. ანუ,



ნიშაცის მცდელობა არახალია. უკრაინაში „მაიდანის“ მოწყობა შედეგად აღმოჩნდა, აქ უშედეგოდ ჩაივლის. იმიტომ, რომ უკრაინაში 2014 წელს ჯერ კიდევ არ იყო გამოფრული, რას წარმოადგენდა ის ოპოზიცია, ჩვენ ეს მდგომარეობა უკვე 2003 წელს გამოვიარეთ მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რას გვიქადა „გარდების რევოლუცია“. დიახ, საქართველოში მაიდანის მოწყობა უშედეგო იქნება, რადგან ეს კინო 2003 წელს ნანახი გვაქვს, უკრაინელებმა კი — 2014 წელს ნახეს. სამწუხაროდ, მათ საკუთარ შეცდომებზე ვერ ისწავლეს და 2021 წელს ოშში ჩართულნი აღმოჩნდნენ.

— საბიუჯეტო თავმჯდომარის პოსტს ტოვებს. რისთვის ეშხადებიან ნაცები?

— ნაცები პოლიტიკურ სამარეში ჩასახვლელად ეშხადებიან ისევე, როგორც სრულიად მსოფლიოში ოცდაათი წლის განმავლობაში ფეხმოკიდებული ფსევდოლიბერალური — ფაშისტური ძალა. აბა,

რა გამოდის? საელჩოს ეცოდინება, რომ პირი სანქცირებულია, მაგრამ საბუთებს და ფულს მაინც მიიღებს. აი, ესაა მეგობრობა და სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკულად! ეს ნიშნავს, რომ აშშ, ვისზეც და როცა მოესურვება, იტყვის, ამერიკიდან უკან საქართველოში უნდა გაფრინდეს, რადგან სანქციის ქვეშააო. ამ ადამიანს კი რეალურად არაფერი ეცოდინება, სანამ მეგობარი გამოუცხადებს, უკან უნდა გაბრუნდეთ. ეს დასანქცირება კი არაა, უზნეობის კულმინაციაა. დასანქცირებული თუ არის ადამიანი, არ უნდა იცოდეს? მაინცდამაინც საზღვრიდან უნდა გამოავლო უკან?! ეს რა თავხედობაა! რატომ არ უნდა იცოდეს წინასწარ, რომ დასანქცირებული ხარ და ამერიკაში ვერ ჩახვალ?! ვიმეორებ, ეს დასანქცირებას კი არაა, იმას ნიშნავს, რომ ვისზეც მოუწოდებთ, იმაზე იტყვიან, დასანქცირებულიაო. ასეთია ამერიკული სამართალი და დღევანდელი ადმინისტრაციის სახე.

— ზურაბიშვილის „ქართულ ქართიას“ ოპოზიციის ოცდაორმა წარმომადგენელმა ხელი უკვე მოაწერა...

— ჩვენი ამერიკელი „მეგობრები“ დაუინებით ცდილობენ, ხელისუფლებაში ზურაბიშვილის მიერ შექმნილი „ქართული ქართიას“ (შემოკლებით, „ქა-ქა“) ხელმომწერი პარტიები მოიყვანონ. გამოდის, რომ ქართველ ხალხს ასეთ ულტიმატუმს უყენებენ, „ქართული ოცნება“ კი არაა, არამედ „ქაქელეები“ აირჩიონ. ასე რომ, ამომრჩევლებს 26 ოქტომბერს არჩევნებზე მარტივი არჩევანი ექნება გასაკეთებელი — ან „ქოცები“ ან „ქაქები“!







გვესაუბრება საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ექსპერტ-კონსულტანტი, პროფესორი იოსებ ჭუმბურიძე

როგორც ეკადრება. ბედნიერი ვარ, რომ სპექტაკლი მართლაც ასეთი აღმოჩნდა. გვასოს დრო, როცა ირონიის საგანი იყო პერიფერიებში დადგმული შექსპირის ტრაგედიები, ამჯერად კი, ვიხილეთ თანამედროვე ხერხებით დადგმული სპექტაკლი, სადაც მთავარ როლს უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი კონსტანტინე ფოცხვერაშვილი ასრულებს.

რაც შეეხება „მართვეს“ ის მხოლოდ ისტორია არ არის. ეს ანსამბლი დღესაც იმავე იდეას ემსახურება, რისთვისაც ანზორ ერქომაიშვილმა შექმნა. მის დაწვეულ საქმეს დღეს მიმო ვაჯავახიშვილი აგრძელებს.

იმ დღეს, როცა მე არჩევა-

მიმართულებითაც ბევრი რამ შეიცვალა...

- ხშირად მახსენდება და ანდერძით მომყვება დიდი პიროვნების, ჩემი მასწავლებლის, ბატონი ნოდარ ტაბიძის დამოძღვრა, - როცა ამა თუ იმ რეგიონში მოხვდებით, აუცილებლად წადით იქაურ თეატრში, რეგიონულ თეატრებს თანადგომა სჭირდებაო... დღეს კი კულტურის სამინისტრო და პირადად ქალბატონი თეა ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ რეგიონულ თეატრებს და ამის არდანახვა შეუძლებელია. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დედაქალაქში არ ხდება იმდენი საინტერესო რამ, რაც ხდება რეგიონებში: ოზურგეთის თეატრი, ზესტაფო-

ბური ფესტივალი ტარდება, მაგრამ ხომ ვერ ჩატარდებოდა, ეს მამული რომ საქართველოსთვის საკუთრებაში არ გადმოეცათ?! ქალბატონი თეა წულუკიანის დიდი წვლილია ამ საქმეში. შემდეგ ამ მამულს სჭირდება ბოლო რეაბილიტაცია-რესტავრაცია, უძიმეს მდგომარეობაში იყო ყველაფერი. სრულად რესტავრირებული ჯერ კიდევ არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანი ეტაპი უკვე გაკეთდა. მთავარია, რომ თავის ავთენტურ სახეს ინარჩუნებს ლევილის მამული, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტია.

რაც შეეხება ფესტივალს, ის მაისის ბოლოს დაიწყო და, 14 ივლისის ჩათვლით, მრავალფეროვანი პროგრამით ჩასულ 700-მდე ქართველ

ბავშვებს. „ფარის“ დაზიანების მცდელობა, სამწუხაროდ, პარტნიორი ქვეყნების მხრიდანაც არაერთხელ ვიხილეთ...

- მინისტრი ამასაც, ანუ „მთაც“ გულისხმობდა. ამკარა უსამართლობაა, რომ ერთი კანონის გამო დასაჯო ერთი, თან იმ კანონის გამო, რომელიც შენ თვითონ გაქვს უფრო მკაცრი ფორმით მიღებული. ყველანაირ სანქციას ავიტანთ, მაგრამ როცა კონკრეტული ადამიანების შეილება ეხება, ვისაც გნებავთ იყოს ის, - ეს არის ჩემთვის ზნეცემულობის პიკი, ფსკერი! როგორ შეიძლება ამის გაგება და გამართლება, რომ მაგალითად, ირაკლი ღარიბაშვილის შეილება არ უნდა

# ხელისუფლება ყველაფერს პერ იტყვის

- ბატონო სოსო, ჩვენთან საუბარში აღნიშნეთ, რომ გვინდა თუ არა, პოლიტიკა მინც ვეღვა სფეროში ერევა. ამჯერად, რა დონით შეეხო არსებული ქაოსი კულტურის სფეროს?

- ყველაფერი უნდა გაგაკეთოთ იმისათვის, რომ პოლიტიკა კულტურას ნაკლებად შეეხო. ეს, ცხადია, არ არის ადვილი, მაგრამ კულტურის სამინისტრო, ვფიქრობ, ამას ნამდვილად ახერხებს. არსებული ვითარება, კულტურასთან მიმართებით, შეიძლება ფორმულასავით გამოიხატოს: ოპოზიცია ვერის, კულტურა მიდის, ანუ ვითარდება. ეს ამკარაა.

ნებისმიერ მოქალაქეს, ვინც სოციალური ქსელით სარგებლობს, შეუძლია, შევიდეს კულტურის სამინისტროს ოფიციალურ გვერდზე და ნახავს, ყოველდღიურად რამდენი რამ ხდება, რასაც უბრალოდ ფაქტები კი არა, მოვლენები შეიძლება ვუწოდოთ: ფესტივალი, კონკურსი, ტურნირი, საღამო, იუბილე, კონცერტი...

ნის წინაშე ვიდექი, რუსთაველის თეატრში წავსულიყავი თუ მარჯანიშვილის თეატრში, ბუნებრივია, ვიფიქრე, სად იქნებოდა მინისტრი, - რომელს მინიჭებდა უპირატესობას. ვიცი, რომ ქალბატონი თეა ანზორ ერქომაიშვილს და მის „მართვეს“ ეთავყვანება და ვიცი, ასევე, მისი დამოკიდებულება რეგიონული თეატრების მიმართ, თუმცა, შემდეგ გამახსენდა, რომ „ჰამლეტის“ პრემიერას ზესტაფონში ის უკვე დაესწრო. ქალბატონი თეა ხომ ყველა პრემიერას ესწრება. იმ დღეს კი, აღმოჩნდა, რომ ის ვერც ერთგან წავიდა, რადგან მესტიაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ ხდებოდა - მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერის პატარა სოფელ ქურაშში, სადაც მე-12 საუკუნის ცნობილი სახარება ინახება. ეს უნიკალური უძველესი ოთხთავი ჩამოტანილი იყო თბილისში და 18 თვის განმავლობაში უტარდებოდა რესტავრაცია. იმ დღეს კი,

ნის თეატრი - ამის საუკეთესო მაგალითია. მაგალითად, ოზურგეთის თეატრში, ვასილ ჩიგოვიძის იდეითა და პროექტის ავტორობით, დაიდგა ტრილოგია: „რესპუბლიკა გურია“; „გურიის უკანასკნელი დედოფალი“ და „ქეთიმე“. პირველი სპექტაკლი ნიკოლოზ საბაშვილმა დადგა, მომდევნო ორი - გოჩა კაპანაძემ. ასეთი სპექტაკლებით ნებისმიერი თეატრი მოიწონებდა თავს.

ის რომ რუსთაველის თეატრში 85 წლის რობერტ სტურუა დგამს უდავო შედეგს - „მიჯაჭვულ პრომეთეს“, ჯერ პირველ ეპიზოდს, მერე მეორეს, შემდეგ მათ უკვე აერთიანებს და შეგვიძლია, ორივე ეპიზოდი ერთად ვნახოთ, - არის თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი დიდი მიღწევა.

- ათეული წლების შემდეგ, პირველად მოვიპოვეთ უდიდესი გამარჯვება ფეხბურთში, გვავს უამრავი წარმატებული სპორტსმენი... ეს, ალბათ, ნიშნავს, რომ კულტურასა და სპორტს, სამინისტრო ერთნაირად არიშებს თავს?

- სადაც უნდა მუშაობდე ადამიანი, რომელ პოზიციაზეც, როცა ქვეყნის ინტერესებია შენთვის მთავარი, ნებისმიერ საქმეს წარმატებით გართმევ თავს. მართლა წარმოუდგენელია, რაც 26 მაისს მოვისმინე ე. წ. პრეზიდენტიდან, რომ თურმე ხელისუფლების დამსახურება სულაც არ ყოფილა ის მიღწევები, რაც სპორტისა და კულტურის სფეროში გვაქვს. რა გამოდის?! თურმე, მნიშვნელობა არ ჰქონია, კულტურის სამინისტრო და, საერთოდ, მთავრობა კარგად იმუშავეს თუ ცუდად, თუ ასეა, სალომე ზურაბიშვილის აზრით, მაშინ სად არის ლოგიკა? - რატომ გვაქვს პრეტენზიები მათ მიმართ?! თუ ეს სპორტული მიღწევები თავისით მოდის(!), მაშინ ძალიან კარგი ფეხი ჰქონია თეა წულუკიანს, მაგრამ მე ხომ ვხედავ რამდენს აკეთებს ის ქართული კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის. უკვე ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები აღარც გვიხარია, „ოქროს“ ისე მივეჭვივით და გაუშინაურდით.

- საფრანგეთში, ლევილის მამულში ქართული ხელოვნებისა და კულტურის ფესტივალი უკვე მეორედ ტარდება. წელს რა სიახლეს სთავაზობენ ქართველ ემიგრანტებს ფესტივალის მონაწილეები?

- ლევილში ნამდვილად მასშტა-



ხელოვანს უმასპინძლებს. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება კულტურის სფეროს ყველა დარგი. საქართველოდან საფრანგეთში, სპეციალურად ფესტივალისთვის ჩასული ქართველი ხელოვნები, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან, ყოველ შაბათ-კვირას რიგრიგობით აჩვენებენ თავიანთ შემოქმედებას საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს. წელს მნიშვნელოვანია სიახლე ის, რომ ფესტივალში სპორტსმენებიც მონაწილეობენ.

- ამჯერად რა კონკურსებს სთავაზობს სამინისტრო შემოქმედ ადამიანებს?

- პირველად ტარდება საქართველოში ეთნოსპორტის საბრძოლო ხელოვნების ფესტივალი; უკვე ჩატარდა კონკურსი „ახალი ქართული წიგნი“; გამოცხადდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის კონკურსი საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის დარგში; მალე გამოცხადდება ლიტერატურული კონკურსი „მუზა“, ასევე კონკურსი „ანა“, ქალი ავტორებისთვის, რომელსაც ამჯერად განსაკუთრებული დატვირთვა ექნება, რადგან ანა კალანაძის საიუბილეო წელია. ჩემი პირადი ბედნიერებაც მგონია, რომ ქალბატონი თეას იდეითა და თაოსნობით დაარსდა ეს ლიტერატურული კონკურსი და პრემია „ანა“, რომელიც, მჯერა, ანას პოეზიასავით, მუდამ იარსებებს.

- თუა წულუკიანმა ოპოზიციის მისამართით განაცხადა, რომ მათი სურვილია, „ქართველ ხალხს, მთავრობის სახით, ფარი ადარ

ისწავლოს ამერიკაში?! ამჯერად ჩვენს ოპოზიციას ვგულისხმობ, თორემ საზღვარგარეთიდან მსგავსი რამ არ მომისმენია. იმედია, ამას მაინც არ იკადრებენ!

ქვეყანა უნდა გიყვარდეს საკუთარ თავში და არა საკუთარი თავი ქვეყანაში. „სამშობლოს“ შეგნებულად არ ვამბობ, რადგან მგონია, რომ ეს ქვეყნის მტრებისთვის უცხო სიტყვაა. მგონი, თავადაც უნდა ხვდებოდნენ, რომ ოპოზიციას შეუძლია, ყველაფერი და ყველაფერზე ილაპარაკოს, ხელისუფლება კი თავს ამის უფლებას ვერ მისცემს. რაგინდ გულწრფელიც იყოს მთავრობა, ვერ გამოვა და დეტალურად ვერ განმარტავს, რა და რატომ ხდება.. სწორედ ეს თქვა ქალბატონმა თეა წულუკიანმა. მან თქვა, რომ ხელისუფლება უნდა იყოს და არის ერის ფარი. ამას ვერ პატიობენ დღევანდელ ხელისუფლებას, რომ ის არის თავისი ხალხის, ქართველი ერის ფარი და ნუთუ ვერ ხვდებიან, ამ ფარის დაკარგვას რა შეიძლება მოჰყვეს?!

ტრადიციულად, ასე დადიოდნენ სულგაყიდული შეილები და აბეზღებდნენ საქართველოს, საკუთარ მეფეებს, ხელისუფლებას - სტამბულში, თეირანში, მოსკოვში... ახლა კი ვეროპასა და ამერიკაში დარბიან ქვეყნის ძირის გამო-სათხრელად. იმედია, ამას ხალხი ხვდავს, მაგრამ მე მაინც ტრაგედიად მიმაჩნია, რომ რადიკალებს მხარს მოსახლეობის თუნდაც ოცი პროცენტი უჭერს...

ნონა ქარქაშაძე



რამდენიმე დღის წინათ, დილე-მის წინაშე აღმოჩნდა: არ ვიცოდი, სად წავსულიყავი, რუსთაველის თეატრში, სადაც ანსამბლ „მართვეს“ იუბილე ტარდებოდა, თუ მარჯანიშვილის თეატრში, სადაც ზესტაფონის უმანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო თეატრი შექსპირის „ჰამლეტს“ წარმოადგენდა. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ზესტაფონი ჩემი მშობლიური კუთხეა, - როცა უმანგი ჩხეიძის სახელობის თეატრს თბილისში ჩამოაქვს „ჰამლეტი“, უმანგის მშობლიური კუთხიდან, უნდა შეეძლოთ, რომ ღირსეული სპექტაკლი წარმოადგინონ, უმანგის ხსოვნას, მის სახელს

უკვე რესტავრირებული ჩაიტანეს და მიაბრძანეს ისევე იქ, სადაც მისი ადგილია, ანუ წინდა გიორგის სახელობის ტაძარში. ეს იყო მართლაც მოვლენა, რასაც ესწრებოდნენ: პარლამენტის თავმჯდომარე, მთავრობის წარმომადგენლები და, რა თქმა უნდა, ქალბატონი თეა წულუკიანი. თუნდაც მხოლოდ ეს ერთი დღე, როდესაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ადენი რამ ხდებოდა, არის მაგალითი იმისა, რომ კულტურა ცოცხალია, წინ მიდის, ვითარდება!

- წლების განმავლობაში, უძიმესი მდგომარეობა იყო რეგიონულ თეატრებში. როგორც ვიცი, ამ



# ჩემთვის კვირვასი სარუხარი პარტი უნჯი და საღებავი

იმ ადამიანთა ცხოვრება და მოღვაწეობა, რომლებიც ჩვენ გვერდით არსებობენ, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, სხვა სამყარო ასულდგმულებთ, საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ასეთია თეატრის მხატვარი შოთა ბლურჯინიძე, რომელიც საკუთარი თავის განვითარებას, თვითგანათლებას მუდმივად დიდ დროს უთმობს. მისი თეატრალური დეკორაციები და კოსტიუმები ასამდე სპექტაკლში გამოყენებული. მუშაობა ისეთ დიდ ადამიანებთან მოუწია, როგორებიც მიხეილ თუმანიშვილი და გია ყანჩელი იყვნენ. ყველაზე საინტერესო კი მისთვის რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუასთან ერთად მუშაობა აღმოჩნდა. წელიწადზე მეტია, თეატრში აღარ მუშაობს და როგორც თავად ამბობს, ახლა თავისუფალი ადამიანია. ჩვენს შეკითხვაზე, რას დაარქმევდა განვლილ გზას ერთი წინადადებით, გვიპასუხა, რომ მის მიერ განვლილ გზას „წვალბას“ დაარქმევდა. თუმცა, იქვე დასძინა, რომ მისთვის ცხოვრება თან საინტერესო, თან მუდმივად საკუთარი ზრდის, განვითარების პროცესია.



ბებიამ — რუსუდან ახვლედიანმა ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულეს.

### „ლურჯი ურჩხულიდან“ თავისუფლებაში

პირველი დამოუკიდებელი სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრში გააკეთე. არაჩვეულებრივმა რეჟისორმა მედია კუჭუნბიძემ საბავშვო ზღაპარი, კარლო გოცის „ლურჯი ურჩხული“ დადგა. აქ შედგა ჩემი, როგორც დამოუკიდებელი მხატვრის, პირველი დებიუტი. კოსტიუმები, ლეკორაცია, ყველაფერი თავად გააკეთე. საკმაოდ წარმატებული სპექტაკლი გამოვიდა. ამის შემდეგ სხვადასხვა თეატრიდან არაერთი შეთავაზება მივიღე. ცოტა ხნით ტელესპექტაკლებზე ვიმუშავე. პირველი „ჯაფოს ხიზნები“ დაიგა. მერე რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში მთავარი მხატვარი გახლდით. აქედან კი რუსთაველის თეატრში დამდგმელ მხატვრად გადავედი. მერე, მეგობრებთან ერთად „თეატრალური სარდაფი“ დავაფუძნე. თუმცა, სარდაფი სააკაშვილმა წამართვა და „თუმანიშვილის თეატრში“ გადავედი, სადაც გოგი მარგველაშვილმა მთავარ მხატვრად მიმიწვია. ბოლო პერიოდი სწორედ ამ თეატრში გავატარე. წელიწადი იქნება, რაც წამოვედი და ამჟამად ამ მიმართულებით აღარ ვმუშაობ. თავისუფალი ადამიანი ვარ.

### ქორიფების ნასვლით დატოვებული სისარილი

ბატონ მიხეილს საკმაოდ კარგად ვიცნობდი. თუმანიშვილის თეატრში რომ მივედი, იგი სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. გოგი ალექსი მესხიშვილს ოპერა „აბესალომ და ეთერის“ კოსტიუმების შექმნაში ვეხმარებოდი, რომელსაც მიხეილ თუმანიშვილი დგამდა და იქაც მიწვევდა მასთან ურთიერთობა. ბატონ მიხეილთან ურთიერთობა სასიამოვნო უშუალოდ არ მიმუშავია, კოსტიუმებს მის მოწვევებთან ერთად უფრო ვქმნიდი. რობერტ სტურუასთან ბევრად მეტი მატეს გაკეთებული, რომელთან ერთადაც რუსთაველის თეატრში ცხრა წელი ვიმუშავე. მასთან ერთად საქმის კეთება არაჩვეულებრივია. ბევრ რეჟისორთან მიმუშავია, მაგრამ სტურუაზე საინტერესო მუშაობა არავისთან ყოფილა. იგი დიდი რეჟისორია და მისგან უამრავი რამ ვისწავლე. სხვათა შორის, რუსთაველის თეატრში გია ყანჩელმა მიმიყვანა, რომელიც მამას მეგობარი იყო. სწორედ გია ყანჩელი იყო ინიციატორი, მუშაობა რუსთაველის თეატრში დამეწყო. ერთად ბევრი სპექტაკლი გააკეთეთ. მამას და მისი ურთიერთობა კიდევ ცალკე თემა იყო. არაჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ. სამწუხაროა, რომ ასეთი დიდი ადამიანები მიდიან და მათგან დატოვებულ სიცარიელეს ვერაფერი ავსებს.

### ოჯახი — მთავარი გამოწვევა

ჩემი პროფესიული საქმიანობის მიღმა საკმაოდ საინტერესო ოჯახური ცხოვრება მაქვს. მეუღლე, მსახიობი ნანა შონია თეატრში გავიცანი. ჩვენი გაცნობა განსაკუთრებულ ვითარებაში არ მომხდარა. დეკანოსი „სამბაო ზღაპარზე“ ერთად ვმუშაობდით — მე მხატვარი ვიყავი, ნანა კი მსახიობი. სწორედ მაშინ დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. ნანამ პირველი როლი რუსთაველის თეატრში სპექტაკლ „ანა ფრანკის დღიურში“ ითამაშა, სადაც ქალბატონი ფრანკის როლი შეასრულა და ჩემ მიერ შექმნილი კოსტიუმი ეცვა. ამ სპექტაკლისთვის კოსტიუმები, დეკორაციები თავად შევქმენი. „თეატრალურ სარდაფშიც“ შეასრულა საკმაოდ საინტერესო როლი „ფიგაროს ქორწინებაში“. „ხანუმაშიც“ შესანიშნავად მოიგო ხანუმა როლი, რომლისთვისაც კოსტიუმი ასევე, მე შევქმენი. ასზე მეტი სპექტაკლისთვის მაქვს შექმნილი კოსტიუმები და დეკორაციები. თითოეული სპექტაკლისთვის, დაახლოებით,

### თავისუფლებისთვის დაბადებული ბიოლოგი

საკმაოდ ლალი ბავშვობა მქონდა. პატარები, როგორც წესი, ცელები არიან, მე კი იმით გამოვიჩინე, რომ საკმაოდ დინჯი ბავშვი ვიყავი. დედის მონაყოლიდან ვიცი, რომ იატაკზე პატარა ხალიჩას დამიფენდნენ, ზედ სათამაშოებს დამიფრიდნენ და ისე ვთამაშობდი, ხალიჩიდან ფეხს არ ვიცვლიდი. არც ურჩი ბავშვი ვყოფილვარ. ჩემთვის მამა პატარა ასაკიდანვე უდიდესი ავტორიტეტი იყო. ამიტომ მნიშვნელოვნად მიმანდდა, მისთვის არ მეწყენი-

ბაგანელი. აი, ასეთი მისწრაფებები მქონდა. ჟაკ პაგანელი ჩემთვის ძალიან საყვარელი პერსონაჟი იყო. სხვა რა შემიძლია ჩემს ბავშვობაზე გითხრა. ბევრი, ალბათ, სოფელში გატარებულ ბავშვობას ტკბილად იხსენებს. სამწუხაროდ, მე არც დედის და არც მამის მხრიდან, სოფელი არ მქონია. თბილისის მკვიდრი ვარ. თუმცა მამა სპორტსმენი, კალათბურთელი იყო და როცა შეკრებებზე დადიოდა, მე და დედაც ყოველთვის თან დავყვებოდით. მასსოვს, შეკრებები ლესელიძეში ტარდებოდა. ეს ჩემი ცხოვრე-

ინტელიგენტი ინჟინრების ოჯახიდან ვიყავი, ამიტომაც ჩავაბარე არქიტექტურის ფაკულტეტზე, ამასთან, როგორც გითხარი, მამას სურვილიც იყო, რომ არქიტექტორი გამოვსულიყავი. ზემოთ აღვნიშნე, რომ მამა ჩემთვის უდიდესი ავტორიტეტი იყო, ამიტომ მისი თხოვნის წინააღმდეგ არ წავედი. მაგრამ მოგვიანებით უფრო მეტად თეატრის მხატვრობამ გამიბატონა. არქიტექტურის ფაკულტეტი როგორც კი დავამთავრე, ჩემი დიპლომი მამას ჩავაბარე და ვუთხარი: თეატრში მივედივარ-მეთქი და სამუშაოდ გოგი ალექსი მესხიშვილთან წავედი, რომელიც მამას მეგობარი იყო. თავიდან ასისტენტად ვმუშაობდი, მერე დამოუკიდებლადაც ვცადე ბედი. არქიტექტურის ცოდნა საკმარისი აღმოჩნდა, რათა თეატრის მხატვრად მემუშავა.

რაც შეეხება დედას — ეთერ სარალიძეს, მან უცხო ენების ინსტიტუტი დაამთავრა. იგი ინგლისური ენის სპეციალისტია. თუმცა, თავისი სპეციალობით დიდხანს მუშაობა არ მოუწია, რადგან ძირითადად სახლში იყო და ბავშვებს გვივლიდა. მეაფს ერთი და — თერთმეტი წლით ჩემზე უმცროსი რუსუდან გლურჯიძე, რომელიც კინორეჟისორია. როცა წამოვიზარდე, დედი მუშაობა მერე დაიწყო. ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში, ოჯახს დიდი წვლილი მიუძღვის. რა თქმა უნდა, პედაგოგებსაც. დედაჩემის მამა ძალიან განათლებული, საინტერესო კაცი იყო და ბევრი რამ მასწავლა. როგორც წესი, მშობლებს ნაკლები დრო აქვთ-ხოლმე, რათა შეიღებოს მეტი დრო დაუთმონ. ამ საქმიანობაში ბაბუები და ბებიები მეტად არიან ჩართულნი. ასე რომ, ბაბუამ — ანტონ სარალიძემ და



მშობლები: სანდრო გლურჯიძე და ეთერ სარალიძე

ნებინა და ყველაფერს უსიტყვოდ ვუსრულებდი. ჩემი პირველი სათამაშო „მატროშკა“ იყო, რომელშიც პატარა ბურთულაკები ეყარა და მაგიდაზე დადგმისას საქანელასავით ირწეოდა, თან ხმას გამოსცემდა. ბევრი სათამაშო მქონდა, მაგრამ ყველაზე მეტად, როგორც ყველა ბიჭს, კონსტრუქტორების აწყობა მიყვარდა. მშენებლობის პროცესი მომწონდა. ბავშვობაში ყველას უოცნებია, სამომავლოდ ვინ უნდოდა გამხდარიყო. მე განსაკუთრებულად ცხოველები, ბუნება მიყვარდა და ახლაც ასე ვარ. მეაფს კიდევ სახლში მადლი, რომელსაც რაჯუ დავარქვი. ამიტომაც ხშირად ვამბობდი, ბიოლოგი უნდა გამოვიდე-მეთქი. ჩემს ახალგაზრდობაში ერთი ასეთი ფილმი — „თავისუფლებისთვის დაბადებული“ გადიოდა. აფრიკაში ცოლ-ქმარს ლომების პრაიდი ჰყავდათ, რომელსაც საკულდაგულოდ უვლიდნენ. ეს ძალიან მომწონდა. მასსოვს, ძალიან მიწონდა, ბიოლოგი გამოვსულიყავი, როგორც ცნობილი ფრანგი მწერლის ფიულ ვერნის სათავგადასავლო რომანის „კაპიტან გრანტის შვილების“ ერთ-ერთი ექსცენტრიული პერსონაჟი ჟაკ

ბის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ასე რომ, ნამდვილი თბილისელი ვარ. ბავშვები საზაფხულო არდადეგებიდან სკოლაში რომ ბრუნდებოდნენ, სოფელში გადახდენილ საოცარ თავგადასავლებს ყვებოდნენ. მე ასეთი ბედნიერება არ მქონდა და თანატოლების სახალისო ისტორიებს ყოველთვის თეთრი შურით ვისმენდი. თუმცა, ერთი კარგი ტრადიციის შესახებ გაიბობოთ: როცა ტექნიკურ უნივერსიტეტში არქიტექტურის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, ზაფხულობით ისტორიული ძეგლების აღდგენაზე მიყავდით. რამდენიმე ზაფხული შატილში მოგვიწია წასვლა, სადაც ვმუშაობდი, როგორც რიგითი მუშა. ეს ძალიან კარგი ტრადიცია იყო. ახლაც რომ აღდგეს, ცუდი არ იქნება — ახალგაზრდები თან იშრომებდნენ, თან დაისვენებდნენ.

### ამისთვის ჩაბარებული ლიკლონი

პროფესიის არჩევაში გავლენა მამამ — ალექსანდრე გლურჯიძემ იქონია. თავად მშენებელი იყო. ასევე, მშენებელი გახლდათ ბებიაც, ბაბუა კი — ინჟინერი. მოკლედ,



შოთა გლურჯიძე და ნანა შონია



ოცი-ოცდაათი კოსტიუმი შექმნილი. სახლში ესკიზების მთელი გალერეა მაქვს. როცა ნანა დაინახე, პირველ რიგში, მასში გარეგნობამ, შემდეგ ადამიანობამ, სამსახიობო ნიჭმა მომხიბლა. ადამიანი გარეგნობასთან ერთად, მისი თვისებებით ხდება საინტერესო. ზოგადად, ადამიანის ნიჭიერებას ღმერთი განსაზღვრავს და ეს სწორად უნდა გამოიყენო. ნიჭისთვის ფართო გზის გასაშლელად მაქსიმალური უნდა გააკეთო, რადგან ის მართლ შენ არ გეკუთვნის. რაც დრო გადის, ოჯახი, შვილები, მათი კეთილდღეობა, აღზრდა, ადამიანის ცხოვრებაში მთავარი გამოწვევა ხდება. ცხოვრების პირველი ნახევარი ვცდილობთ, საკუთარი თავი დავემკვიდროთ, მეორე კი — შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის ვიცხოვროთ. ესაა მთავარი.

კალურ სკოლაში ფორტეპიანოზე შევიყვანეთ. მისთვის სპეციალურად ფორტეპიანო შევიძინეთ. დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. ავდექი და ეს ფორტეპიანო მოვხატე, ვიფიქრე, ასე უფრო გავუჩინებ ინტერესს-მეთქი, მაგრამ არც ამან გაჭრა. საბოლოოდ იმ სკოლიდან წამოვიდა და პირველი სკოლა დაამთავრა.

გაგიკვირდებათ, მაგრამ ჩემი ნახატები ბევრი არ მაქვს. უფრო თეატრალური ესკიზები მაქვს. ჩემი სახლის კედლებს ნანას რამდენიმე პორტრეტიც ამშვენებს. დრო არ მყოფნის, რომ მეტი ვხატო. ზოგადად, ხატვას ძალიან ძნელად ვიწყებ, თეთრ ფურცელთან მისვლა მიჭირს. ეს ფსიქოლოგიურად უნდა გადავლახო. მერე ხატვას რომ დავიწყებ, სხვა ადარაფერი მახსოვს. ჩემთვის

ძვირფასი საჩუქარი კარგი ფანქარი, ფუნჯი და საღებავია. ზოგადად, ოჯახში ბევრი ნივთი გვაქვს. მართალი გითხრათ, ბევრი რაღაც დიდად არ მომწონს, მაგრამ ნანას უყვარს და ვიტან. ჩემი ხელნაკეთი ნივთებიც ბევრი გვაქვს. პირადად მე არ ვარ ნივთებზე მიბმული ადამიანი.

**სამოქალაქო ომი და დამხმარი სახლი**

სახლი, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, 1992 წელს, სამოქალაქო ომის დროს დაიწვა. ის პარლამენტის გვერდით მდებარეობდა და ჭურვი მოხვდა, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს ესროლეს. მე და ნანა მაშინ ერთად არ ვიყავით. ძალიან მძიმე გადასატანია, როცა მშობლიურ სახლს დაფერფლილს

ხედავ. ყველაფერი დაიწვა. რთული პერიოდი გამოვიარეთ. ახლაც მიტინგებს რომ აწვობენ, მეუღლეს სულ შიში აქვს, ამ დაპირისპირების შედეგად იგივე არ განმეორდეს. თან სულ მუქარები ისმის. ახლაც ზომ დააპირეს პარლამენტის დაწვა. ნანამ ცეცხლი რომ დაინახა, ძალიან განიცადა. სახლის აღდგენაში, გარემონტებაში უკვე მეც ვმონაწილეობდი. სახელმწიფომ მოგვცა ბინა იმავე ადგილას, სადაც დიდი კორპუსი ააშენეს.

სტუდენტურ აქციებში მონაწილეობა, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს მეც მიმიღია. მაშინ აქციები ასეთი ორგანიზებული არ იყო, პოლიტიკოსებიც ნაკლებად ჩანდნენ. ახლა მიტინგებს პარტიები ხელმძღვანელობენ, რაც არ მომწონს. ახლაგაზრდებს პროტესტი თუ უჩნდებათ, ეს ნორმალურია. ახალგაზრდებმა პროტესტი უნდა გამოხატონ, მაგრამ ამით აშკარად მათ უკან მდგომი ძალები სარგებლობენ, რაც სასიამოვნო არ არის. სააკაშვილის 9-წლიანი რეჟიმის წინააღმდეგ პოლიტიკაში აქტიურად ჩავერთე. პოლიტიკა ყველას ოჯახში შემოვიდა. მას მერე პოლიტიკაში ჩართულობა შემომჩნა. ახლაც მქონდა პარლამენტიდან სამუშაოს თაობაზე შეთავაზებები, მაგრამ ეს არ მაინტერესებს, ჩემი ხელობა ბევრად მეტად მიყვარს. ამჟამად ტელევიზია — „ერიმედია“ ვხელმძღვანელობ.

**„ზუსტი ნიშნაკი“**

ხშირად მეუბნებიან, რომ გამორჩეული იუმორი მაქვს. ფეისბუქმეგობრები თურმე ჩემი



ნანა შოველა - „ხანუმა“

იუმორისტული პოსტებით თავს ირთობენ. ჩემთვის ვზივარ, რაღაცას ვკითხულობ, ან ვხატავ, უცებ რაღაც გამახსენდება, მივუჯღღები კომპიუტერს და ჩავინიშნავ. „ფეისბუქს“ როგორც უბის წიგნაკს, ისე ვიყენებ. იუმორის გარეშე ცხოვრება ვერც წარმომიდგენია. ჩემი აზრით, ადამიანს იუმორი, პირველ რიგში, საკუთარი თავის მიმართ უნდა ჰქონდეს. მე მუდმივად ვცდილობ, რაღაც სიახლე გავიგო, ამიტომ სულ რაღაცას ვკითხულობ, ან ვუსმენ, ჩემს განვითარებას ძალიან დიდ დროს ვუთმობ. თვითგანათლება ჩემთვის მნიშვნელოვანია. მთავარი წიგნი ჩემთვის „სახარება“ა. საკმაოდ ბევრს ვკითხულობ, არამხოლოდ მხატვრულ, არამედ მეცნიერულ და სხვა ლიტერატურას. ბევრი ინტერესი მაქვს, რაც ცხოვრებას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

თამარ შველიძე



ტაია შოუ

**მონატული ფორტეპიანო**

მე და ნანას სამი შვილი გვყავს - სანდრო, თომა და გაბრიელი. სანდრომ კინოსარეჟისორო დაამთავრა და ბედი რეჟისორის და ოპერატორის ამბლუაში სცადა. ჰყავს მეუღლე და შვილი დანიელი. თომა მხატვარია. მან სამხატვრო აკადემია ილუსტრაციის განხრით დაამთავრა, თუმცა სკულპტორად მუშაობს — ხისგან ფიგურებს აკეთებს. მას და მის მეუღლეს კომპანია „ქათამურა“ აქვთ დაარსებული და მის ნამუშევრებს ბევრი კოლექციონერი ყიდულობს. გაბრიელმა კი სკოლა ახლა დაამთავრა, უნივერსიტეტშიც ჩააბარა, თუმცა ჯერ არ ვიცით, ვინ გამოვა. არჩეული პროფესია დიდად არ იზიდავს, უფრო ფოტოგრაფიით არის დაკავებული. უმცროსი ადრე მუსი-

**საქართველოს თავზე მასხოვრის საფლავიდან ართივული ღროშა რატომ უნდა ფრიალაზღეს?**

სოციალურ ქსელში კვლავ გამოჩნდა სომეხი დიზაინერის ფოტო, რომელიც ინტერვიუს აძლევს რუს ჟურნალისტს. ვინც აღნიშნული ფოტო ახლავს ნანა, პროტესტი გამოთქვამს, რატომ აქვს სომეხ დიზაინერს მისიურზე საქართველოს დროშა მიხატული.

ზუსტადაც, რომ სომეხ დიზაინერს უნდა ჰქონდეს მისიურზე დატანილი ეს დროშა და სომხეთის

სახელმწიფო დროშა რომ იყოს, მართებულად იქნებოდა!

ახლახანს, ბატონმა ფრიდონ ინჯიამ საქართველოს გერბზე თქვა, კარგი იქნებოდა „მამული, ენა, სარწმუნოება“ დაერთვისო. მე უარესს ვიტყვოდი, უბრალოდ, ამჯერად თავს შევიკავებ... მაგანთ ფანტაზიის სფერო ჰგონიათ საქართველოს გერბზე გამოსახული „მხეცის ნიშანი“...

დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო დროშა, ფაქტობრივად, ერთი კონკრეტული პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ დროშაა და თავიანთი ზეობის ხანაში პირად საკუთრებაში მითვისებულ ქვეყანას მოაზივებს ტანზე, რაც წვევლად შეგვრჩა, თუმცა, მთლად მათი პარტიის დროშაც არ არის!

ჩემი და ბატონი მალხაზ აფრიდონიძის საუბარს გადმოგცემთ, გეგბ, ამჯერად მაინც გახდეს გასაგები...

საკმაოდ დიდხანს ვისაუბრეთ ამ დროშის შესახებ მე და ბატონმა მალხაზმა. ეს დროშა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში წამოსწიეს „მონარქისტებმა“. მე ხომ არ ვთხზავ „ახალ ამბებს“...

— კარგად მახსოვს, ზეადმართული რომ აპქონდა ნარიყალაზე აკაკი ასათიანს, თუმცა, მერე მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, მით უმეტეს, რომ მისი შვილი ჰერალდიკის სპეციალისტია. შემდეგ ვინ მაწაფოდა სააკაშვილს ამ სისულელის იდეა, ვინ იცის. სისულელე კიდევ ძალიან რბილი ნათქვამია — მე კი არ მომპარეს

ეს დროშა, მალხაზ აფრიდონიძეს, მაცხოვარს მოპარეს, იესო ქრისტეს აწაპნეს საფლავიდან!

ეს ხუთი ნიშანი ასეთი სემანტიკით, ჯერ კიდევ IV საუკუნის II ნახევრიდან არის ცნობილი (უფრო ადრინდელი ცნობა არ არის). 1099 წელს ეს ნიშანი იერუსალიმის აღების შემდეგ გერბის გამოსახულებაში ჩაუსვეს ჟოფრუა დე ბუილონს, როგორც ქრისტიანობის ცენტრის დამაფიქსირებელი ნიშანი, რაც შინაარსობრივად არის მაცხოვარი და სახარების ოთხი ავტორი, ამავდროულად, ის გახდა იერუსალიმის სამეფო გერბიც, რომელიც საფუძვლად დაედო იერუსალიმის დროშას.

ამ დროშაზე კამათისას ერთმა პიროვნებამ მითხრა „რატომ, ლამაზიაო.“ რამდენი რამეც ლამაზი იქნება, იმაზე პოლიტიკის აწყობა ნორმალურია?

მთავარი არგუმენტი — „იერუსალიმის სამეფო აღარ არის“. კი, ბატონო, აღარ არის — XIX საუკუნის 70-იან წლებამდე 70-ზე მეტი სახელმწიფო იყო დღევანდელი

გერმანიის ტერიტორიაზე, ყველა მათგანს ჰქონდა გერბი, დროშა და პიში, კიდევ მოეძებნი 365-ს, მაშინ, ანალოგიურად, მოვიპაროთ, ყველა ჩვენი აღმოჩნდება და ყოველდღე ახსავსონია, განსაკუთრებით პრუსიის გერბი არის ბრწყინვალე, თვითონ ამ გერბში 54 გერბი მაინც იქნება დაფიქსირებული — ყოველ წელს გამოიცვალათ გერბები. ასე ხომ არ შეიძლება, რახან მკვდარია სამეფო, მისი მივითვისოთ — ქურდობა არის ქურდობა!

მამასადამე, 1099 წელს ეს დროშა დაფიქსირდა როგორც მაცხოვრის საფლავის აღმნიშვნელი ნიშანი, რომელიც გერბად მისცეს ჟოფრუა დე ბუილონს, აქედან გამომდინარე, დროშაც (სხვათა შორის, დროშის განმსაზღვრელი არის გერბი). ამჟამად დროს, მიიღეს მმართველის აბსოლუტურად განსხვავებული, საფლავის მცველის ტიტული, რომელიც მსოფლიო ისტორიაში ამ ერთი პიროვნების გარდა, არავის უტარებია. იგი ძალიან გარდაიცვალა, მაგრამ მის-



მა ძმამ, ბოლღუინ I-მა, რომელიც უკვე იერუსალიმის მეფე გახდა, არ ცნო თავი ამ ტიტულის ღირსად, თუმცა ამ გერბს ატარებდა. აქედან მოყოლებული, დაფიქსირდა როგორც თავისებური ჯვარი, ოღონდ, ამ კომპოზიციით. ეს კომპოზიცია იმითაა საინტერესო, რომ ნებისმიერ ვარიანტში (ტერმინების გარეშე გეტყვით, უფრო გასაგები რომ იყოს), ვთქვათ, თუ ფრესკაში ცხვარია გამოსახული და ოთხი წყარო გამოუდის ფეხებიდან, ეს მაცხოვარსა და სახარების ოთხ ავტორს ნიშნავს, მაგრამ თუ

ეს ტოლი ნიშნებია, მაშინ საუბარია მაცხოვრის ხუთ ჭრილობაზე. ეს ცნობილია ყველა კონფესიისათვის. იმ ცნებებს, რაც მის მიღმა დგას, არ იღებს, ვთქვათ, მაკმადანი, თორემ გამოსახულება „ჯვარი“ დამოუკიდებლად არსებობს.

დაანებონ თავი ამ მაიმუნობას, რომ ეს დროშა არის ქართული! ეს ისეა დავითის დროშა, როგორც ჩან კიშის... კი, ბატონო, ჩამოვთვლი და ვნახოთ ორივე შტო.



# საქართველოს თავზე გასხოვრის საფლავიდან ართიული დროშა რაბო უნდა ფრიალებდეს?

მეტი სახელმწიფოა და აფრიალე ყველა ერთად, პატივისცემაში მინც ჩაგვივლება და არა სიბრყველი.

დროშას კანონი უნდა იცავდეს! მე კი არ ვივარდებ — რამდენიმე დროშა როცაა, იქაც წესი და კანონი არეგულირებს, რომელი რომელს უნდა მოსდევდეს და რომელი რომლის გვერდზე უნდა იყოს. ელემენტარულად, არაფრით არ შეიძლება დროშის წინ რაღაც მიდიოდეს, თუნდაც კუბო. ან კუბოზე როგორ უნდა გადაეფაროს, ამასაც წესი და კანონი აქვს. დროშა ყველანაირად შეიძლება გამოვიდო, მაგრამ მაგალითად, გერმანიის დროშაზე მთავარი ფიგურა არის არწივი, რომელიც, ყველა შემთხვევაში სწორად უნდა იდგეს, ანუ არწივი ტრიალებს, თავი მინც ზევით აქვს.

აღლუშვე როდესაც მიდის კოლონა, ამით რა ჰგონიათ, იცი, როდესაც ტრიალებს არის დაეუფათ, მარჯვნივ, დროშაც უნდა იყოს მარჯვნივ. არა, ბატონო, დროშა ყველა შემთხვევაში, წინიდან მაყურებლისთვის მარცხენა მხარეს და თანაც ბატონა უნდა იყოს.

ვერ გაუგიათ, რომ ტრიადაში მთავარი არის გერბი, გერბი არის




განმსახლრელი, ხოლო დროშისა და ჰიმნის შინაარსი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გერბს.

ტრიალის ორ შემთხვევაში თუ ქურდობასთან გვაქვს საქმე, ჰიმნთან დაკავშირებით სამარცხვინოდ სასაცილო მდგომარეობაა. დავით მალრამე შესანიშნავი პიროვნებაა, მაგრამ არ არის ეს კაცი საქართველოს ჰიმნის ავტორი, ჰიმნის ავტორია ზაქარია ფალიაშვილი, რომლის მუსიკაც დამუშავა ბატონმა იოსებ კეჭეჭიძემ. ჰიმნს ტექსტი, შეიძლება, საერთოდ არ ჰქონდეს. თუ არ მეძლება, 158-სტროფიანი არის საბერძნეთის ჰიმნი — გვეულებათ, რომ ადაბინმა ის იმდროს? — მღეროან პირველ ოთხს, ისიც, იმეათად. სულაც სტვენით რომ გამოვსახო, ჰიმნი იქნება, მაგრამ ტექსტი თუ ვიტყვი, ლექსი იქნება. თუ დავით მალრამის მოხსენება უნდათ, ჰიმნის ავტორად კი არა, ჰიმნის ტექსტის ავტორად უნდა მოხსენიონ — მუსიკას და ტექსტს ვერ უნდა არჩევდნენ ერთმანეთისგან, კაცო?! ეს შერწყმული არის მხოლოდ მუსიკომედიამ და ვართ კიდევ კომედიურ სიტუაციაში, მხოლოდ სიმღერა და ლაპარაკი გაგვიდის...

არ შეცდეთ ერთ რამეში — როდესაც საუბარია პორტულანებზე, ჰერალდიკაში მათი არგუმენტად მოყვანა არის მხოლოდ და მხოლოდ იმის ნიშანი, რომ ჰერალდიკა არ იცი.

როდესაც პორტულანები (სახლვარო რუკები არც ეთქმის, პატარა აკვატორიას მოიცავს) მოგაქვს, თვალზე ლიბრი არ უნდა გადაგვიკრას — დააკვირდით, ჯვარი არის 1/2-ზე, დანარჩენზე სად არის ჯვრები! თანაც, მოაქეთ ისეთი რუკები, რომელიც პორტულანა ან არის, ან — არა. ჰერალდიკის საბჭო დადიოდა ამ პორტულანების ჩამოსატანად და მოვიძიეთ — რა მოვიძიეს, ნახევარ საათში აქვე ვაჩვენებ „გეოგრაფიულ საზოგადოებაში“, აღარაფერს ვამბობ აკადემიკოს კეკელიაზე, რომელიც სულაც კოლექციონერია. ვერ გავიგე, ჰერალდიკის საბჭოა თუ გეოგრაფიული საზოგადოება! პიციაგანების რუკა რომ ჩამოვიტანო, კიდევ გასაგებია, მაგრამ რა მიზანია, ჩამოვიტანო პიციაგანების რუკის ასლი, შედი კომპიუტერში და რისი ასლიც გინდა, გადმოიღე, რა საჭიროა ვიდეოში ამხელა თანხების გადაყრა?

როგორი უნდა იყოს ნამდვილი ქართული დროშა, რომელი საწყისიდან უნდა ამოვიღოთ, ძნელია ამის თქმა, ასე ხელალებით ვერ გეტყვით, თუმცა, ძალიან მწირი, მაგრამ მაინც გვაქვს რამდენიმე ვიზუალური წყარო, თუნდაც საეკლესიო დრო-



შა, რომელიც ეკლესიას გამოაქვს — წმინდა გიორგის ჯვარი.

მხედარი, რომელიც ურჩხულს ებრძვის, ყველა წმინდა გიორგი ხომ არ არის, მასეთი „ზვლიკი და კაცი“ აგერ გვიდგას თავისუფლების მოედანზე. მე მას ვუწოდებ შუა საუკუნეების ევროპელი უცნობი ჯარისკაცის ძეგლს...

თითოეულ წმინდანს აქვს თავისი სიმბოლო, ან ემბლემატური გამოსახულება (ან ორივე). წმინდა გიორგის აქვს რამდენიმე ატრიბუტი რომელიც ამოიცნობ, თორემ დრაკონის შუბით განმგმირავი მხედარი მის გარდა უამრავია, განსაკუთრებით დასავლეთში, რადგან ყველა რაინდი ეძებდა გრაალს და გზაზე მუსრს აულებდნენ დრაკონებს. წმინდა გიორგის ერთ-ერთი ამოსაცნობი სიმბოლოა სწორკუთხა წითელი ჯვარი. აღსანიშნავია, რომ სიმბოლიკა არის უაღრესად ლამაზი, დახვეწილი, ნატიფი და ლაკონური ენა. თამარავილს აქვს კათოლიკე ბერის, კოტოვიჩის აღწერილობა მოყვანილი, რომ „ქართველებს დროშაზე წმინდა გიორგი ჰყავთ გამოსახული...“ მას რომ ენახა მხედარი, რომელიც დრაკონს გმირავს, მაშინ იტყოდა, ქართველებს დრაკონის განმგმირავი რაინდი ჰყავთ გამოსახული. ვინაიდან ზუსტად დაასახელა წმინდანი, ე. ი. მან ნახა ისეთი ნიშანი, რომე-

ლიც ამ წმინდანზე მიუთითებდა — სწორკუთხა წითელი ჯვარი. მას რომ ირიბი ჯვარი ენახა, წმინდა პატრიკს იტყოდა; ირიბი თეთრი ჯვარი რომ ენახა, იტყოდა, წმინდა ანდრია ჰყავთ გამოსახული; ჯვარზე გადაკვეთა რომ ენახა დაბლა, მაშინ წმინდა პეტრე ჰყავთ ქართველებსო, იტყოდა.

ღვთაება, ვილაცამ რომ სადღაც რაღაც შეგნებულად თუ შეუგნებლად აურია, არ ნიშნავს, რომ ის ისეა. მაშინ წმინდა იონან სომხურში ფოფილა კარაპეტა — არც ერთ სომეხს არ მოსვლია აზრად ასეთი სისულელე! გაცვებას ვარ, მხოლოდ ქართველებს რატომ მოგვაფიქრდება ხოლმე მსგავსი სისულელეები? კურიოზული სიტუაციაა აღწერილობაში — „თეთრი გიორგი ცხენზე შემჯდარი დრაკონით“. 90-იანი წლების გერბის აღწერილობა მთლად საოცრებაა, სიცილით დაოსდებით, ჯაჭვის პერანგის ქვეშ რა აცვია, ის წერიაო — შენ რა იცი, რა აცვია, შე ოხერო!

მოკლედ რომ ვთქვათ, ეკლესიაში იციან და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მფარველი ვინც არის, ის უნდა იყოს მისი განმასახიერებელი დროშაზეც და გერბზეც — ფრიალებს ეკლესიაში ეგ დროშა, ლურჯი ქობა



## 1183.

დასავლეთეგროპული შტო: მარია ანტიოქიელი (პუატიე), შარლ ანჟუელი, შარლ II კოჰლი, რობერტ I კეთილი, ჟანა I ნეაპოლიტანელი, ლუი I ანჟუელი, ლადისლავ დურაგო ნეაპოლიტანელი, ლუი II ანჟუელი, ჟანა II ნეაპოლიტანელი, იოლანდა არაგონიელი, რენე კეთილი, იოლანდა ანჟუელი.

კვიპროსული შტო: ჰუგო I (III) ლუზინიანი, ჟან II (I) კვიპროსელი, ანრი II დე ლუზინიანი, ამორი II კვიპროსელი, ჰუგო II (IV) კვიპროსელი, პიერ I კვიპროსელი (კილიკიის არმენიის მეფე), პიერ II კვიპროსელი, ლეონორა არაგონიელი, ჟაკ I კვიპროსელი (არმენიის მეფე), იანუს (ჟან) III (II) კვიპროსელი (არმენიის მეფე), ჟან IV (III) კვიპროსელი (არმენიის მეფე და ანტიოქიის მთავარი), შარლოტა კვიპროსელი, ლუი I სავოიელი (იერუსალიმის, კვიპროსისა და არმენიის მეფე), ჟაკ II ბასტარდი (უკანონოდ შობილი) ანუ ჟაკ II დე ლუზინიანი, კატარინა კორნარო.

ხომ ხედავთ, თუ პრეტენზიაზე საუბარი, სომხებს უნდა ჰქონდეთ პრეტენზია ამ დროშაზე, ჩვენ კი — არანაირი!

დაიხ, ამ დროშასთან არანაირი შეხება არ აქვთ ქართველებს გარდა იმისა, რომ ქრისტიანები ვართ, პარლამენტმა კი, ვოპუპით მიიღო იგი და ფოფრუა დე ბუილონსაც და მის კანონიერ მემკვიდრეებსაც ბრანწი უჩვენა. უმეცრეებამ ძალიან ბევრი უხერხულობა შექმნა. გარდა იმისა, რომ ცხვირი ჩაჰყვეს მეცნიერების იმ დარგში, სადაც არ უნდა ჩაეყოთ, ეს არის საშინელი მკრეხელობა. ქურდობა — ქურდობაა, მაგრამ ვის ჰპარავ, მინც მნიშვნელობა აქვს — მაცხოვარს რომ საფლავიდან აწაპნი...

მეორე მკრეხელობა — უზენაესიდან მფარველად გვაქვს წმინდა გიორგი, ეს იცის მთელმა მსოფლიომ, შენ კი, გვერდზე გასწიე შენი მფარველი წმინდანი, გადახტი მას. მთელი მსოფლიოსთვის წმ. გიორგი არის მაცხოვრის ციური მხედრობის მხედართმთავარი, მიწიერი რაინდობის მფარველი, გაგზავდა მაცხოვარმა ღირსად, რომ ასეთი მფარველი მოველინა შენთვის და შენ, უკაცრავად გამოთქამა და, ნაციონალური ფურთხით კარგად მიაფურთხე იმით, რომ დროშა მოგეპარა? — რა უნდა გვეშველოს, ვერ გავიგე...

არ ვარ „ეკლესიური“, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ სანამ ამ დროშას ვაფრიალებთ, საქართველოს არაფერი ეშველება. ეს არის მკრეხელობა და ეს უნდა იცოდეს ყველამ! ამიტომ, ის „სამური ცხოვრება“, ერთმა დეპუტატმა რომ დაგ-

ვავედრა, დაგიტოვეთ (თუმცა, ვის და რა დაუტოვა, არ ვიცი), არასდროს გვექნება.

რა „სამური ცხოვრება“ დაგიტოვეს მაცხოვრისთვის მოპარული დროშის ქვეშ — სახელმწიფოს არ აქვს დადგენილი სახელმწიფო საზღვრები!

არც ოფიციალურმა პირებმა და არც მოქალაქეებმა არ იციან, როგორია სახელმწიფოს გერბი, ვისაც როგორ უნდა, ისე გამოიყენებს და ამანე თვალს ზუჭავს სწორედ ჰერალდიკის საბჭო. მოქალაქეებს არ ევალებათ ამის ცოდნა, მაგრამ სახელმწიფო მოხელეებმა არ იციან, როგორი უნდა იყოს სახელმწიფო გერბი და დროშა, რადგან არ იციან მათი წარმოშობა, შინაარსი, მათი გამოყენების წესები და დატვირთვა. ამანე უდიდესი შრომა გაწეულია, მაგრამ თაროზეა შემოდებული, რადგან რომელიღაც „ცეხს“ არ აწეობს.

ბავშვებს რას ვასწავლით? ხისთავიანი როცაა ადაბინი, მისი დამოკიდებულება ასეთია — უფროსს დროშა მოეწონა...

ნებისმიერი სახელმძღვანელო აიღეთ, წერია იქ დროშის ავტორი პიროვნება, რომელიც გარდაიცვალა, ღმერთმა აცხონოს (ჯუნა მიქაელაძე — ავტ.). ჯუნა მიქაელაძე როგორ არის საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო დროშის ავტორი, როდესაც მისი წარმომავლობა საუკუნეების მიღმიდან მოდის, რეინკარნაცია განიცადა? წერია, საქართველოს გერბის ავტორი — მამუკა გონგაძე. აბა, ვახუშტი ბატონიშვილი ვინ არის?! როგორი მდგომარეობაა, იცით, თქვენ რომ ტანსაცმლის მოდელი მოიფიქროთ, თქვენს მიერ აწვევტილი დილი უკანვე მივაკერო და გამოვაცხადო, რომ მოდელის ავტორი მე ვარ — ქურდობა ჰქვია ამას, ბაცაცობა!

გერბის ოფიციალურ ბლანზონში 24 სერიოზული შეცდომაა დამკვეთული. კანონი არსებობს, მაგრამ ძალიან ბუნდოვანი, ვისაც როგორ უნდა, ისე რომ გამოიყენებს. საქმე ის არის, რომ არ იციან არაფერი და არც არავის აინტერესებს. ჩემს ბავშვობაში ბაღში ვმღეროდით „ამ ჩვენს დროშებს თინიკო გუშინ მთელ დღეს კერავდა, ეს წითელი ვარსკვლავი, გვიმ გაგვიფერადა“, — აი, ამ ღონეზეა, გნებავთ, ძველი, გნებავთ, ახალი ხელისუფლება, მათ შორის რაიმე სხვაობა რომ იყოს, აქანდე მიაქცევდნენ ყურადღებას...

ვერ გაუგიათ, რომ საქართველო ერთია და მას აქვს ერთი განსახიერება; ერთი სამოხელეო დაწესებულებაა მერია და იმ მერიაზე ერთი საქართველოს განსახიერება უნდა იყოს და არა ოცი. თუ მანცდამანც დროშების ფრიალი უნდათ, 300-ზე



საყრდენისა და ბერკეტის სათანადო მანქანულაციებით არქიმედემ საფუძველი ჩაუყარა იმ ტექნიკურ პროგრესს, რომელსაც უკვე მიაღწია ადამიანმა და რომელსაც მომავალში მიაღწევს. არქიმედეს ეს ერთი შეხედვით პრიმიტიული აღმოჩენა იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ თანამედროვე გეოპოლიტიკაშიც მოიკიდა ფეხი. კერძოდ, არქიმედესეულ საყრდენს და ბერკეტს წარმატებით იყენებს ვაშინგტონი ამერიკული წესრიგის გავრცელებისთვის და ფერადი რევოლუციების მოსაწყობად. მაგალითისთვის ვეროპაც კმარა, სადაც 1945 წლიდან მოყოლებული უწყვეტ რეჟიმში ინერგებოდა ამერიკული წესრიგი, რომელმაც, საფრანგეთის პრეზიდენტს თუ დაუფუძრებთ, მთელი ევროპა ამერიკის ვასალი გახდა. მაგრამ, ვაშინგტონმა მოისურვა ამერიკული წესრიგის დამყარება პოსტ-საბჭოურ სივრცეშიც, რითაც, როგორც იტყვიან: „დაუკრეფავში გადავიდა“.

რას ნიშნავს დაუკრეფავში გადასვლა? ნიშნავს იმას, რაც საქართველოში მოხდა და რაც უკრაინაში ხდება. უკრაინაში რუსეთი შეიჭრა, მაგრამ რუსეთის დასუსტებით შეპყრობილი დასავლეთი და ვაშინგტონი ხელოვნურად აჭიანურებენ ომს. ამ ხელოვნურმა გაჭიანურებამ კი ევროპის უდიდეს სახელმწიფოს, რბილად რომ ვთქვათ: „დედა უტირა“. რა შუაშია ყოველივე ამასთან არქიმედე? თავად არქიმედე არაფერ შუაშია, მაგრამ მის მიერ აღმოჩენილი საყრდენი და ბერკეტი შუაშიც არის, თავშიც და ბოლოშიც. ამის დასაბუთება განვიხილოთ საქართველოში განვითარებული მოვლენები.

მოგეხსენებათ, 2003 წელს ვაშინგტონმა მოაწყო აქ ფერადი რევოლუცია და მისთვის სასურველი, მორჩილი ხელისუფლება მოიყვანა. ამჟამინდელი ხელისუფლება ვაშინგტონისგან პოლიტიკურ თანასწორობას მოითხოვს, ანუ მორჩილებაზე უარს ამბობს. ამიტომ იქაურმა კონგრესმენებმა უკვე დააბრუნეს 2024 არჩევნების გაყალბება და მორიგი ფერადი რევოლუციის გარდაუვალობა.

რევოლუციას საყრდენი უნდა ჰქონდეს და საქართველოში არქიმედეს საყრდენის ფუნქციას ასრულებენ ენჯელები, რადიკალური ოპოზიცია და მათ მიერ

კონტროლირებადი ტელევიზიები. ხელისუფლებამ მათ „უსამშობლოები“ და „მოღალატეები“ დაარქვა, ისინი კი მოღალატეებად ხელისუფლებას მიიჩნევენ, რაშიც ვეროპაც ეთანხმება და ვაშინგტონიც. რატომ ეთანხმება? იმიტომ, რომ ვაშინგტონის და ევროპის საყრდენს წარმოადგენენ საქართველოში და ამ საყრდენს თავადვე აფინანსებენ ფერადი რევოლუციის მოსაწყობად.

რევოლუცია მოიყვანს ხელისუფლებაში ვაშინგტონის მორჩილ უმცირესობას უმრავლესობაზე საბატონოდ. თქვენ გჯერათ ასეთი დემოკრატიის, ან დაიჯერებენ ამას ახალგაზრდები? დათანხმდებიან ახალგაზრდები, კარგი ცხოვრების სანაცვლოდ გახდნენ ვაშინგტონის მონები და მიიღონ ციტატა ცნობილი ლექსიდან ასეთი ინტერპრეტაციით: „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და ვაშინგტონის

ნება: „შენი ჩაკერება რომ მნებავს, მიზეზად ისიც კმარაო!“

გამოგიტყდებით, ყოველთვის მიზიდავდა მშვიდობის თემა და ბოლო 30 წელი საქართველოს გამთლიანებით ვარ ავადმყოფურად შეპყრობილი. არასოდეს მიზიდავდა პოლიტიკა და არც ხელისუფლებაში მოხვედრის სურვილი მქონია, ამიტომ საკუთარ თავს აპოლიტიკურ ადამიანად მივიჩნევ. იყო აპოლიტიკური, არ ნიშნავს

საკვარაულოდ, ვაშინგტონიც მიზეზად, რომ ხელისუფლებაში გადაწყვიტა, საქართველო ქართული კურსით ატაროს და როგორც ჩანს, არ აწყობს სუვერენული საქართველოს ხილვა, რაც ფერადი რევოლუციის ალბათობას ავტომატურად ზრდის. ამიტომ, იდეალურ დონეზე ჩატარებულ არჩევნებსაც დაცვა დასჭირდება. ვინაიდან წინასწარ ვიცით, რომ ევროპიდან და ამერიკიდან ჩამოსული დამკვირვებლები არჩევნების ხარისხსა და შედეგებზე სიმართლეს არ იტყვიან, უნდა მოვიწვიოთ ისეთებიც, ვინც სიმართლეს იტყვის. მაგალითად, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, ჩინეთიდან. ოთხივე ეს სახელმწიფო საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და არცერთი მათგანი არ არის ვაშინგტონის მორჩილი.


სიმართლის მიტყევილი დამკვირვებლების მოწვევა 2024 წლის არჩევნების დაცვის მცირედი ნაწილია. არჩევნების დაცვის ძირითად ნაწილად მიმჩნია არჩევნებამდე ხუთეულის ფორმატის შექმნა და ამ ფორმატის საშუალებით საქართველოს გამთლიანების მშვიდობიანი პროცესის დაწყება. ვიმეორებ, ეს უნდა მოხდეს არჩევნებამდე. რას მივიღებთ ამით? ხუთეულის ფორმატში მოსკოვიც მონაწილეობს და ვაშინგტონიც. ამიტომ, ნაკლებად მოსალოდნელია და ვიტყვოდი, შეუძლებელიც არის, რომ ვაშინგტონი ერთი ხელით მუშაობდეს საქართველოს გამთლიანებაზე, მეორე ხელით კი თბილისში ფერად რევოლუციას აწყობდეს. რაც შეეხება მოსაზრებას, ვითომდა დოკუმენტაციამდე საქართველოს გამთლიანება შეუძლებელია, 2008 წლიდან მოყოლებული, თუთიყუშით ვიმეორებ: „დოკუმენტაციას გამოიწვევს საქართველოს მშვიდობიანი გზით გამთლიანება“ და რომ „დოკუმენტაციისკენ მიმავალი სხვა გზა არ არსებობს“.

და ბოლოს, ვიტოვებ იმედს, რომ საქართველო, ნებისმიერი ხელისუფლების ხელშიც, მხოლოდ ქართული კურსით ივლის და წელში გამართული ვეფვის მსოფლიოს: „არც არავის ვემონებო, არც ვებატონებ არავის“.

ვიტოვებ იმედს, რომ სწორედ ასეთ საქართველოში ცხოვრებას უსურვებს საკუთარ შეილებს რადიკალური ოპოზიციაც.

როლანდ ნიკოლაიშვილი

# არქიმედეს ეფექტი



ომოხსოვით საყრდენი წერტილი და მე დაპირავ დელაინას

მთავარი კი ის არის, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს ძალები ვაშინგტონის მორჩილები, ანუ ნებაყოფლობითი მონები იქნებიან. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ვაშინგტონის სწორედ ისეთი საყრდენი გააჩნია, როგორც მის გეოპოლიტიკურ ინტერესებს ესაჭიროება.

მაგრამ არქიმედეს საყრდენს სათანადო ბერკეტს სჭირდება და ასეთის როლს ამომრჩეველი შეასრულებს.

ამომრჩეველის დიდი ნაწილი ხელისუფლებას უჭერს მხარს, ამიტომ აქცენტს აკეთებდა ახალგაზრდებზე: სტუდენტებზე და სკოლის უფროსკლასელებზე. სწორედ ახალგაზრდები აღმოჩნდებიან იმ ბერკეტის ავანგარდში, რომელმაც საყრდენ წერტილზე დაყრდნობით ხელისუფლება უნდა დაამხოს და საქართველოში დემოკრატია დააბრუნოს?!

მიაქციეთ ყურადღება, დემოკრატია საქართველოში დაბრუნდება მაშინ, როდესაც ფერადი

მედვას უღელი? მე ვფიქრობ, არ დათანხმდებიან. ახლა დაუბრუნდეთ არქიმედეს საყრდენს და ბერკეტს. საქართველოში საყრდენს წარმოადგენს ის გაერთიანებული ძალა, რომელსაც ხელისუფლებამ „უსამშობლოები“ დაარქვა. ბერკეტად კი, დიდი ალბათობით, გამოყენებული იქნება ახალგაზრდობა.

მაგრამ ფერად რევოლუციას მიზეზიც სჭირდება. რისთვის? იმისთვის, რომ გაამართლონ, „გააპრაჟონ“ რევოლუცია. ასეთ მიზეზად ყველგან და ყოველთვის სახელდება მითი გაყალბებული არჩევნების შესახებ. 2024 წლის არჩევნები რომ არ გაყალბდება, ყველამ იცის: ხელისუფლებამ, ამომრჩეველმა, ოპოზიციამ, ევროპამ და ვაშინგტონმა. მიუხედავად ამისა, არჩევნები გაყალბებულად გამოცხადდება და ამ გაყალბებას დადასტურებენ ევროპიდან და აშშ-იდან ჩამოსული დამკვირვებლები. რატომ? იმიტომ, რომ რევოლუცია უკვე დაიგემა ვაშინგტონში, რომელიც დაუფარავად გვეუბ-

სობრძავს, ამიტომ შეუიარაღებელი თვალთაც ვხედავ, რომ ხელისუფლებას, იქიდან გამომდინარე, თუ როგორ ეპყრობა მას ვაშინგტონი, სრული უფლება აქვს, რუსულ ვექტორს შეაფაროს საკუთარი თავიც და საქართველოც, მაგრამ არ აკეთებს ამას. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ ხელისუფლებას არ სურს, გახადოს საქართველო პროამერიკული ან პრორუსული. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს ექნება ქართული ორიენტაცია და იმეგობრებს ყველასთან პოლიტიკური თანასწორობის საფუძველზე. ვინც საქართველოსთან პოლიტიკურ თანასწორობაზე უარს იტყვის, ის მეგობარი არ არის, მაგრამ ხელისუფლებების იცვლებიან, ამიტომ, ვინც დღეს არ ცნობს საქართველოს პოლიტიკურად თანასწორად, ხვალ შეიძლება მეგობრად ვიხილოთ. თუ ხელისუფლებას მართლა სურს, საქართველო ქართული კურსით ატაროს, მივესალმები ამას, მით უმეტეს, რომ ეს ჩემი 30-წლიანი ოცნებაც არის.

## გკითხველის ფოსტიდან

გამარჯობა, ქალბატონო თამარ!

მოგმართავთ პატივისცემით და თქვენი ნებართვით, რამდენიმე მოსაზრებას გაგიზიარებთ. ვინაიდან, პირადად მე, ცოცხალ პოლიტიკოსი ახლოდან არ მინახავს, თუ საჭიროდ მიიჩნევთ, იქნებ, მთავრობამდე მიიტანოთ ეს შეთავაზებები:

1. საქმე ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის უახლესი პოლიტიკური თავგადასავლის საკვანძო საკითხი "მეორე ფრონტი" თემა მგონია, რომელიც არასაკმარისად არის გაშუქებული. მართალია, არსებობს მოკლე-მოკლე სიუჟეტები, მაგრამ ისინი სრულად ვერ ასახავენ საკითხის არსსა და მასშტაბურობას. ამიტომ აუცილებელი მგონია, რომ შეიქმნას დოკუმენტური ფილმი, რომელსაც მთავრობის დახმარებით, რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია გააკეთებს. ფილმში, ასახული უნდა იყოს უკლებლივ ყველა დოკუმენტური მასალა და პასუხი უნდა გაეცეს ლიბერალების "ჩამჭრელ" შეკითხვას - "რატომ უნდა აწყობდეს დასავლეთს საქართველოში "მეორე ფრონტი". ამას გარდა, უნდა აისახოს ამ დიდი შეთქმულების დაფარვისა და "გაპრაჟების" ყველა მცდელობა, ჩვენი ლიბერალების მხრიდან.

ფილმის სულისკვეთება არ უნდა იყოს ანტიდასავლური პროპაგანდის ნაწილი და ხაზს უნდა უსვამდეს მოსაზრებას: მსოფლიოს "ცრემლების არ სჯერა" და ყველა საკუთარი ინტერესებისათვის იბრძვის. ასეთივე აუცილებელი მგონია, კიდევ ერთი, ორენოვანი ფილმის გაკეთებაც - "ნაციონალიზმის კრიმინალური სინდიკატი"...

2. ყველა უმაღლეს სასწავლებელში სავალდებულო საგანად უნდა დამატდეს "დებატები პოლიტიკაზე". დარწმუნებული ვარ, საინტერესო საგანი იქნება და ყველა სტუდენტს მოეწონება...

3. რამდენიმე წესიერმა, გონიერმა და განათლებულმა ახალგაზრდამ უნდა დააფუძნოს არასამთავრობო ორგანიზაცია პირობითი სახელწოდებით - "ახალგაზრდული პარლამენტი", რომლის მთავარი ფუნქცია უნდა იყოს:

- ❖ ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიის შემუშავება და მისი პროპაგანდა;
- ❖ ინოვაციური საკანონმდებლო ინიციატივებისა და წინადადებების წარდგენა პარლამენტში, ხელისუფლების ჯანსაღი კრიტიკა;
- ❖ კლასიკური დებატების კულტურის განვითარება;
- ❖ დისკუსიების და ტრენინგების გამართვა პოლიტი-

კაზე, კულტურაზე, განათლებაზე და ა. შ. ეს ორგანიზაცია, ძირითადად, უნდა დააფინანსოს ბიზნესმა...

4. უნდა გამოცხადდეს საგრანტო კონკურსი სალექციო კურსზე: "კონსერვატიზმი და ნეოლიბერალიზმი", რომელსაც უნდა ჰყავდეს რაც შეიძლება ბევრი გამარჯვებული. კონკურსის პირობები უნდა ითვალისწინებდეს:

❖ ლექციების კურსის გამარჯვებულისთვის თავისუფალი მსმენელებისთვის (სტუდენტებისთვის) წაკითხულ ყოველ ლექციაზე დამატებითი ანაზღაურების მიცემა. ასევე, ცალკე უნდა ანაზღაურდეს სატელევიზიო გამოსვლები და ა. შ. იგულისხმება, რომ კონკურსზე დაიშვებიან ავტორიტეტული პიროვნებები, მაგალითად, "აზროვნების აკადემიის" თანამშრომლები და მათთან "გათანაბრებული პირები"...

ერთი სიტყვით, თუ ჩვენი ახალგაზრდობა გონზე არ მოვიყვანეთ, ქვეყანას გაუჭირდება წინსვლა. წარმატებებს გისურვებთ ყველა მიმართულებით...

როსტომ როსტიაშვილი  
ავტორის სტილი დაცულია



# ეს რა გიქნის, ძმაო „ხაბე“?!

ლევან ხაბეიშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობიდან ჯანმრთელობის პრობლემების გამო გადადგაო. გადადგა არა, გადადგა! ან დადგომას ვინ ეკითხებოდა, ან გადადგომას, მაგრამ ერთი კარგი თვისება აქვს „ნაცსექტას“, ერთმანეთის ტყავს საქვეყნოდ არ გლეჯენ.

არადა, რაც მან იღვაწა, რაც მან თავი აცემინა, რაც მან რეზინის ჩექმებით იტყაპუნა ხან წვიმაში და ხან ტლაპოში... მართალია, სათაყვანებელი მიჰა ვერ გამოიხსნა ტყვეობიდან და ვერც „ქართული ოცნება“ დასცა ბეჭებზე, მაგრამ სურვილი ხომ ჰქონდა, მთავარი სურვილი და დაპირებაა. ერთი წაუფრთხილება კი დაუჯდა ძვირფას ცხვირად, მაგრამ რა ექნა, წამოუარა და კიდევ შემოეღება საეცდანიშნულების რაზმის ბიჭებს.

ექიმს უთქვამს, 2-3 თვის განმავლობაში გიკრძალავ დაძაბულ და აქტიურ რეჟიმში მუშაობას, ემანდ, ხორთუმივით არ ჩამოგეშალოს და მოსაჭრელი არ გაგიხდეს ზოგიერთი თვისით. მაშინ, როცა არჩევნებამდე ოთხი თვეა დარჩენილი, „ხაბე-ბიჭი“ იმას იკადრებდა, რომ დაესვენა და რუტინულ მუშაობას გაქცეოდა? ჰოდა, უახლოეს დღეებში მოიწვევს ყრილობას და პარტიას შესთავაზებს ორ ცვლილებას, — „ნაცბანდის“ თავმჯდომარედ თინა ბოკუჩავას კანდიდატურას და სახელმწიფო პოლიტსაბჭოს ხელმძღვანელად საკუთარ კანდიდატურას შესთავაზებს. თინა ბოკუჩავასთან კონსულტაციით მიუღია ეს გადაწყვეტილება. სურვილი ჰქონია, რომ აგვისტოს ბოლოდან ჯანმრთელი შეეხილოს „ნაციონალური მოძრაობას“ და მის ახალ თავმჯდომარეს, რათა 24-საათიან რეჟიმში მოემსახუროს ჩვენს ხალხს ივანიშვილთან ბრძოლაში.

ზოგადად, თუ „დიდი მიჰა“ არა, ვინ იქნება „ნაცმოს“ თავმჯდომარე, მნიშვნელობა არ აქვს, „ნაცმოს“ გავერანეული მატარებლის ლოკომოტივობას ვერავინ სწევს. შესაბამისად, ამოდ ფაფუხრობენ. „დიდი მიჰა“, როგორც ჩანს, საბოლოოდ ჩამოწერეს, აღარავინ მოსთქვამს იმასზე, რომ კლავენ და აწამებენ.

ახლა ახალი ბელადი გამოჩნდა სალომე ზურაბიშვილის სახით და იმას გამოეხატა სრულიად „ნაცმო“. რა ქნან, უთავოდ თვითონ არაფერ ძა-

ლას წარმოადგენენ და ვიდაც „წონიანი“ ხომ უნდათ მეთაურად. წონა არც მას აქვს, მაგრამ ზურგს უმაგრებენ საქართველოს „დაუძინებელი მეგობრები“ და რაღაცას წარმოადგენსავეთ...

ლევან ხაბეიშვილი საერთოდ რა მოვლენა იყო, რა დანიშნულებისთვის აჭიჭყინეს და ისედაც რეალობას მოწვევტილი უფრო მეტად რატომ გაასულელეს, ესეც ვერ გავიგეთ, ყოვლად უფუნქციო მოლა-

რესიული, გაუწონასწორებელი და ტყვეობის ხეზე შემომჯდარი ბლის კურკებს ისვრის, ეს ჩვენზე კარგად გალმა იციან, მაგრამ, ალბათ, სწორედ ასეთი სახეობის მონები სჭირდებათ თავიანთი გეგმების აღმასრულებლებად.

ხაბეიშვილის ბოკუჩავათი ჩანაცვლება რეალურ სურათს არ ცვლის. როგორც უნდათ, ისე გადანაცვლდნენ, მაინც „ნაცსექტა“, მაგრამ საინტერესოა, ამ გადანაც-

ვამ ტირანულ რეჟიმთან ბრძოლაში-მეთქი.

მაშასადამე, ლევან ხაბეიშვილის თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ 12 წელი უკომპრომისო ბრძოლაში ყოფილა რუსულ რეჟიმთან და საზოგადოება კარგად ხედავს ბიძინა ივანიშვილის მიღწევად რეჟიმს. ამ ამბებს ვინმემ ჩამოუთვალოს, ჯერ პრიმაკოვ-კოჟოკინთან რომ დარბოდა ივანიშვილის ჩამოსვლამდე და შემდეგ, რუსულ საქმეებს მისი მიშ-

კიდევ არ დაიზიანო პირი-სახე!

რა ენერგიულია ეს თავფეხიანი მოლუსკი, ექიმი არიგებს, არ იღვლეო, არ დაიძაბო და ეს კიდევ როგორ განიცდის და დულს ცხელი ტომატით. ამას რა დააოკებს, წინსწრებით გაპკივის, ასიათასობით მხარდამჭერს მინდა ვუთხრა, რომ არჩევნები, რომელიც იქნება 2025 წლის თებერვალში, მაგრამ ახლა უნდა გვესმოდეს, რომ ფორსმაჟორში მოგვიწევს ძალიან მძიმე ბრძოლის გადატანა ივანიშვილის წინააღმდეგო.

ბიჭო, შე ყურუშალო, თუ მინავლულია და სულს ღაფავს ეს რეჟიმი, რაღა მძიმე ბრძოლა უნდა გადაიტანო?

მოკლედ, ამან ოღონდ ილაყლაყოს და რეებს დაახუტებს, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ნეტავ, ჩემს გარდა ვინმემ მოუსმინა, რა თქვა? ან საერთოდ, ვინმე როდესმე უსმენს?

რა ხდება მათ თავს?

ისეთი მწყაზარი სახით ედგა გვერდზე „ხაბეს“ თინიკო, ერთხანს დიდი ხნის შეხმატკბილებული წვეილი მეგონა, მაგრამ გამახსენდა, რომ ეგენი ყველა წვეილ-წვეილად ურიკინებენ და ჩავხვდი საქმის არსს.

საწყალი „ხაბე“, რა დააშავა „ნაცმოს“ ამ ერთგულების აპოთეოზმა, რაც თავი ახსოვს და მე კიდევ „ხაბე“ მახსოვს, სულ უბავუებდნენ კრივის მსხალივით, ბოლოს სპეცნაზსაც გაეჭიმა ძალგულოვანი, მაგრამ ამ ლგბტ თემის გადამიდეს, ეტყობა, დაავწყდა, რომ კაცი იყო და არა ქალი, მას არ გაუტარებდნენ და... „ხაბე“ ამბობდა, „ხარებას“ ზონდერჯგუფები მიზანმიმართულად მისწორდებოდნენ რამდენიმე წუთის განმავლობაში და მაიძულებდნენ, მეთქვა, რომ მე დამნაშავე და ცუდი ადამიანი ვარ, და მერე აღარ მცემდნენ, მაგრამ ცხადია, ამის ფუფუნება არ მივეცი და ამის გამო შესაბამისად გამოვიყურებო. ლა ნახად უცემიხარ, ათუელობით ზონდერს, ბიწო!

ლევან ხაბეიშვილის ძმა, გიორგი ხაბეიშვილი 13 წელი სახელმწიფო დაცვის სამსახურში მუშაობდა მაიორის ჩინით და საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ფასად იცავდა პრეზიდენტ სააკაშვილის ოჯახს, ასეთი კაცის მისთვის ასე უნდა მიესუნებინათ მცირე ხნით პარტიის თავმჯდომარის პოსტისთვის?

დამთავრდა „ხაბე“, ეს პოსტი იყო მისთვის უმაღლესი გაფართხლება და საბოლოოდ დამთავრდა „ხაბე“...

„უტვინო შარვლიან კლოუნს უტვინო კაბიანი შეცვლის... ერთი ისაა, რომ ახალი პოლიტორგანიზაციის „ქაქის“ კუბოს ლამაზი გვირგვინი მაინც ექნება“ თქვა ქალბატონმა თეამ და შეუძლებელია არ დაეთანხმო.

გამახსენდა სიღნი პოლაკის ფსიქოლოგიური თრილერი, „ქანც-გაწვეტილ ცხენებს ხომ ხოცავენ?“ და „ხაბე“ ადამიანურად შეშეცოდა... შეშეცოდა საწყალი, „ვეთი მეფე ლირი, ლირი ყველასგან მიტოვებულ...“



ბე იყო, ერთი ფანტაზიორი დაუსრულებელი არსება და სხვა არაფერი. ამ გაჭირვებულს რა უნდა გაეკეთებინა ნეტავ, რას ითხოვდნენ მისგან ისეთს, რომ ვერ შეასრულა, ინგლისური არ იცოდა?

ახლა ის არის საინტერესო, რა ნიშნით შეარჩიეს ოქროს კულონ-ცეპოვნა თინა ბოკუჩავა, ინგლისური ეკერება, კარგად ვარდება ისტერიკაში, თუ კარგ ხმაზე გაპყვირის „კოტიკოს“? 2011 წლის მარტში რა ელტუშრა ასეთი მიხეილ სააკაშვილს, რომ პაწა ოქროსაც გამოჰკრა ხელი და ახლა „ნაცმოს“ თავმჯდომარეობასაც? თინამ თუ გაუფრინა უფროსებს თავისებურად და დაუქაჩა თვალები, მგონი, მაშინვე გაახვიონ ზეწარში და იქაურ „სათონების სახლში“ გააქანონ.

აკი, გვარამიანზე დებდნენ ფსონს, რატომ გადაიფიქრეს?

„ნაცსექტაში“ რომ ყველა აგ-

ლების ავტორი თვით კვებრაშვილი იყო თუ აშშ?

როგორც ვხედავთ, ყველა მხარეს მუდმივი თამაშია, მაგრამ გაპარტახებულ „ნაცმოს“ რა თამაში უშველის, თინა ბოკუჩავა რა ხილიცაა, თვითონვე არ იციან?

როგორც ბრიფინგზე ითქვა, აღნიშნული გადანაცვლება მიხეილ სააკაშვილთან ყოფილა შეთანხმებული — სოფო ჯაფარიძეც გადაუდგიათ, ჯერ გადაცემა დაუხურეს, ახლა სიის პირველ ნომრადაც აღარ დატოვებს. აკი, თინასთან კონსულტაციებით მივიღე ეს გადაწყვეტილებაო — ახლა მიხელ სააკაშვილიც ჩართული ყოფილა ამ საქმეში და მოჰყვებიან ასე ბოკუჩავას, ოქროს ჯაჭვით ერთმანეთზე გადაბმულები, თავს ვერ გაუგებ, თორემ ბოლო, ყველა ვარიანტში „ხაბე“. ნეტავ, არ გლახობდნენ უაზროდ!..

ისე, ბოკუჩავამ კარგი ზტუნვა იცის მაგიდებზე და ეტყობა, კალიად უნდათ, თავის მხრივ კი ანი წითლიძეს აიტორღილებს მაიძუნად, მაინც მუდამ ზედ ეკვირის და ეგვც გამოდგება მოხტუნავედ.

ისა და, „ხაბე-ბიჭმა“ წვერი რატომ მოუშვა, დაბრძენდა და კაცობს, თუ თქმა უნდა, მე ახლა ბატონი ლევანი ვარო?

ამ ტიპს ხო ლაი-ლაი არ ეზარება. რომ ჰკითხო, ცხვირ-პირი სტკივა, არადა, ჩავიგო ტრიბუნა ხელში და გააბა თავისებური ჭიფანდურა. საინტერესოა, ტექსტებს თვითონ იკონებს, თუ თავისნაირი ვინმე მუშურიკა უწერს. მის სიტყვებს რომ მივუგდე ყური, კინაღამ ელვისებურად გავეკანე და „ნაცმოდრობის“ სათავო ოფისში მივევარი აქომინებული, არიქა, მიმიღეთ თქვენს გუნდში და თქვენს გვერდზე მიგულეთ

კონეს ხელისუფლება რომ აკეთებდა — ლამის მთელი საქართველო ნაწილ-ნაწილ რომ მიგვეცა ჩვენს ჩრდილოეთელ მეზობელს...

ამას რა უშავს, განწირული ხელისუფლება ისეთ აგონიაში ყოფილა ჩავარდნილი, უპრეცედენტო ძალადობაზე გადასული და ყოველდღიურ პირდაპირ რეჟიმში გვაყურებინებდნენ, ათობით სპეცრაზმელი როგორ ცემდა ახალგაზრდებს, არბევდნენ ადამიანებს და ოჯახებში უვარდებოდნენ.

ამ ჩვენისას რა მაგრად მოხვედრია, აერ-დაერია, ვისზე ლაპარაკობდა — თუ პირიქით, ცოტა მოხვედა და მაგიტომ ურევს?

სანქციები როგორ გამოჩნებოდა — მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის მთავრობებს და მის წევრებს აქვთ დაწესებული ასეთი სანქციები, რუსეთს, კონგოს, ჩრდილოეთ კორეას და ა. შ. ამ სანქციებში შეგვიყვანა ივანიშვილმაო. მერე, ეტყობა, შუა ლაპარაკში გაახსენდა, რომ ძალიან გაუხარდა ოპოზიციას სანქციების ამბავი, რომელიც ხალხს კი არა, არამედ მათ ეხება, „ვისი სახელიც არ ითქმის“ და არც არავინ იცის, ნჯო-უბის გარდა, აშშ მალავს, ისინი აფრიალებენ — ეს ცალკე საკვირველებაა კიდევ, ვინ ტყუის, ისინი, „ჩვენები“ თუ ორივენიცა?! ჰოდა, „პლასტინკა“ გადააბრუნა და ისეთი ბლია-ბლია გააბა, ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა, მხოლოდ ის გავიგე, რომ მუხლიან-უხრელად იბრძობლებს, ეს ხელი-სუფლება იქ გაისტუმროს, სადაც მისი ადგილია, საქართველოში კი კოალიციური მთავრობა იყოს, რომელიც შეძლებს და საქართველოს ევროკავშირში შეიყვანს.

ვერან, ფეხი არაფერს წამოსლო,

აქტი  
 16 მარტი 2011 წელი  
 კ. ბილისი  
 წევრ ქვემოთ ხელისმომწერნა, საქართველოს სახელმწიფო დაცვის საციალური სამსახურის თანამშრომლებმა ეკოლაქმ, რღაფანიშვილმა და ვეარდოსანიძემ, შეეადგიინეთ წინააღმდეგარე აქტი მასზედ, რომ საქართველოს პრეზიდენტის დავალებით ვეარდოსანიძის მიერ შპს „ზარაფხანამ“ შექმნილი სამკაული: კულონი-1 ცალი და ცეპი-1 ცალი, ნამდვილად გადაეცა პრეზიდენტს სტუმრის თიკა ბოკუჩავას დასასანუქტრელად.  
 რაზდაც ვაწერო ხელს:  
 ვეარდოსანიძე  
 რღაფანიშვილი  
 ვეარდოსანიძე



სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო — პირველი მუდმივი სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც რომის წესდებით 1998 წელს რომში შეიქმნა. საერთაშორისო სასამართლოს კომპეტენცია იმ პირების დასჯაა, რომლებსაც ბრალი ედებათ გენოციდში, ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში. ის 2002 წლის ივლისიდან ფუნქციონირებს. სასამართლოს რეზიდენცია მდებარეობს ჰააგაში, თუმცა მოსამართლეთა სხდომები ნებისმიერ ადგილას შეიძლება გაიმართოს. პირველად საქართველოს ისტორიაში ჰააგის მოსამართლეთა წევრად საერთაშორისო კონკურსის საფუძველზე არჩეული იქნა ბატონი გორა ლორთქიფანიძე, რომელიც ამ თანამდებობაზე დანიშნავდა საქართველოში იუსტიციის მინისტრის პოსტს იკავებდა. ცნობილია, რომ იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა თეა წულუკიანმა გორა ლორთქიფანიძე მამინ აშშ-იდან, კერძოდ, ბოსტონის უნივერსიტეტიდან საგანგებოდ მოიწვია და როგორც გამოცდილ კადრს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობები ანდო. არც შემდგარა, რადგან ლორთქიფანიძის სახელს საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული ასოციაციის ხელშეკრულება და სტრასბურგის სასამართლოში არაერთი გახმაურებული საქმის სახელმწიფოს სასარგებლოდ დასრულება უკავშირდება. თუმცა პოლიტიკურად ანგაფირებული მედიის დიდმა ნაწილმა ყველაფერი ისე გაატარა, თითქოს ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.



# ჰააგის სასამართლოს ისტორია, კომპეტენცია და სტრუქტურა

## ტრიბუნალის შექმნის ისტორია

საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნა, რომელიც პოლიტიკურ ლიდერებს საერთაშორისო დანაშაულისთვის გაასამართლებდა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გახმოვანდა პარიზის კონფერენციაზე. მეორეჯერ ამგვარი ტრიბუნალის შექმნის იდეა გაფლერდა ერთა ლიგის ეგიდით ჩატარებულ ჟენევის საერთაშორისო კონფერენციაზე. შედეგად გაფორმდა კონვენცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მსგავსი ფუნქციების მქონე საერთაშორისო ტრიბუნალის დაარსების შესახებ. ამ კონვენციას 13-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, თუმცა არცერთმა არ მოახდინა მისი რატიფიკაცია და ის არასდროს არ შესულა ძალაში.

პროექტი ამგვარი ტრიბუნალის დასაარსებლად, მაგრამ ცივი ომის პერიოდში მათი ძალაში შესვლა ვერ მოხერხდა. 1989 წლის ივნისში ტრინიდადი და ტობაგოს პრემიერ-მინისტრმა A.N.R რობინსონმა ისევ წამოაყენა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის იდეა. მისი იდეის საფუძველზე საერთაშორისო სამართლის კომისიამ კვლავ დაიწყო სასამართლოს წესდების შემუშავება. ამასობაში გაერო-ს უშიშროების საბჭომ დააარსა ორი ad hoc-ი რუანდისა და იუგოსლავიის გენოციდის გამოსაძიებლად (1993, 1994 წწ.). 1994 წელს საერთაშორისო სამართლის კომისიამ შეიმუშავა სისხლის სამართლის საერთაშორისო

2012 წელს დადგა, როცა კონგოს შეიარაღებული ოპოზიციის ყოფილი ლიდერი ტომას დილო ცნო დანაშაულები ბავშვების საბრძოლო ძალად გამოყენებაში. 2010 წელს სასამართლოს წევრ სახელმწიფოთა კონფერენციაზე კამპალაში, მიიღეს წესდების ახალი შესწორებები, რაც საერთაშორისო აგრესიისთვის დასჯადობას ითვალისწინებს, თუმცა ცვლილებები ჯერ ძალაში არ შესულა.

## სტრუქტურა

სასამართლო შემდეგ ორგანოებად იყოფა: წევრ სახელმწიფოთა ასამბლეა, პრეზიდიუმი, სასამართლო პალატები, პროკურორის ოფისი, რეგისტრატურა. ცნობისთვის, ჰააგის სასამართლოს სამუ-

თითოჯერ ნიუ-იორკსა და ჰააგაში. ასამბლეა ირჩევს მოსამართლეებს, პროკურორს, იღებს სასამართლოს ბიუჯეტს, ამტკიცებს მნიშვნელოვან ტექსტებს. მაგალითად, „პროცესის და მტკიცების წესები“. სასამართლოს წესდება ნებას რთავს ასამბლეას, სრული შემადგენლობის 2/3-ით თანამდებობიდან გადააყენოს მოსამართლე ან პროკურორი, თუ დადგინდა, რომ მან ჩაიდინა სერიოზული გადაცდომა, ან დაარღვია ამ წესდებით გათვალისწინებული მოვალეობები, როგორც ეს განსაზღვრულია პროცესისა და მტკიცების წესებით, ან არ შესწევს უნარი, შესრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

## პრეზიდიუმი

პრეზიდიუმი პასუხისმგებელია სასამართლოს ადმინისტრაციაზე. სასამართლო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს პრეზიდენტს და ორ ვიცე-პრეზიდენტს, რომლებიც აყალიბებენ პრეზიდიუმს სამი წლის ვადით, ერთჯერადი ხელახალი არჩევის უფლებით.

## სასამართლო პალატები

სასამართლო შედგება 18 მოსამართლისგან. მოსამართლეები გაწვერიანებული არიან პალატებში: წინასასამართლო პალატაში, სასამართლო პალატაში და სააპელაციო პალატაში. მოსამართლეები აირჩევიან წევრ სახელმწიფოთა ასამბლეაზე 9 წლის ვადით ხელახალი არჩევის უფლების გარეშე. არ შეიძლება სასამართლოში იყოს წარმოდგენილი ერთი სახელმწიფოს ორი მოქალაქე. მოსამართლეები აუცილებლად უნდა იყვნენ სასამართლოს წევრი სახელმწიფოს მოქალაქეები. ისინი უნდა იყვნენ მაღალი მორალური თვისებების მქონე ადამიანები, რომლებიც აკმაყოფილებენ მათ სახელმწიფოებში უმაღლეს სასამართლო თანამდებობებზე დასანიშნე პირებისთვის დაწესებულ მოთხოვნებს.

წინასასამართლო პალატაში შედის 6 მოსამართლე, სასამართლო პალატაში 6 მოსამართლე, სააპელაციო პალატაში სასამართლოს პრეზიდენტი და 4 სხვა

მოსამართლე. მოსამართლეები თავის უფლებამოსილებას დამოუკიდებლად უნდა ახორციელებდნენ და არ უნდა ეწეოდნენ სხვა საქმიანობას.

## პროკურორის ოფისი

პროკურორის ოფისი პასუხისმგებელია საქმეების გამოძიებასა და სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერაზე. პროკურორის ოფისს ხელმძღვანელობს პროკურორი, რომელიც 9 წლის ვადით ორ მოადგილესთან ერთად აირჩევა. ამჟამად პროკურორი არის ფატუ ბენსუდა.

## სასამართლოს პროკურორი

პროკურორს შეუძლია გამოძიება დაიწყოს სამ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ მოახსენებს წევრი სახელმწიფო; თუ ამის შესახებ მოხსენდება უშიშროების საბჭოს რეზოლუციით, რომელიც მიმართულია საერთაშორისო მშვიდობის აღდგენისკენ; საკუთარი ინიციატივით, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და წინასასამართლო პალატის ნებართვით.

## რეგისტრატურა

რეგისტრატურა პასუხისმგებელია სასამართლოს ყოველდღიურ ადმინისტრაციაზე, დაზარალებულთა და მოწმეთა დახმარებაზე. რეგისტრატურას ხელმძღვანელობს რეგისტრატორი, რომელსაც 5 წლის ვადით ირჩევს სასამართლო.

## იურისდიქცია და დასაშვებობა

იმისთვის, რომ სასამართლომ ფიზიკური პირები გაასამართლოს, საჭიროა სამი კრიტერიუმის არსებობა: საგნობრივი იურისდიქცია (ანუ არის თუ არა ჩადენილი ქმედება წესდებით გათვალისწინებული); ტერიტორიული და პერსონალური იურისდიქცია (ვის მიერ და სად არის დანაშაული ჩადენილი); იურისდიქცია დროში (როდის არის დანაშაული ჩადენილი).

ლევან ჭილაძემ (დასასრული იმეხვა)



ცია და ის არასდროს არ შესულა ძალაში.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მოკავშირეების მიერ დაარსდა 2 ad hoc ტრიბუნალი ლერძის ქვეყნების პოლიტიკური ხელმძღვანელების გასასამართლებლად. ერთი მდებარეობდა ნიურნბერგში, მეორე კი ტოკიოში. 1948 წელს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ რეზოლუციით აღიარა მუდმივმოქმედი საერთაშორისო ტრიბუნალის დაარსების აუცილებლობა, რომელიც საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენ პირებს გაასამართლებდა. საერთაშორისო სამართლის კომისიამ შეიმუშავა ორი საერთაშორისო ხელშეკრულების

სო სასამართლოს წესდების პროექტი და გენერალურ ასამბლეას წარუდგინა.

საბოლოოდ, 1998 წელს მოიწვიეს საერთაშორისო კონფერენცია რომში, სადაც იმავე წლის 17 ივლისს მიიღეს სასამართლოს წესდების პროექტი. მას შემდეგ, რაც წესდების რატიფიკაცია 60-მა წევრმა სახელმწიფომ მოახდინა, ის საბოლოოდ 2002 წლის 1-ელ ივნისს შევიდა ძალაში. 2003 წელს სასამართლოს 18 მოსამართლე აირჩა. სასამართლომ პირველი დაკავების ორდერი 2005 წელს გასცა, პირველი წინასასამართლო მოსმენა 2006 წელს გაიმართა, ხოლო პირველი განაჩენი

შაო ენება ფრანგული და ინგლისური, ხოლო ოფიციალური — არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული, ესპანური.

## წევრ სახელმწიფოთა ასამბლეა

სასამართლოს მთავარი სათათბირო ორგანო შედგება ყველა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლისგან. თითოეულ წევრ სახელმწიფოს თითო ხმა აქვს. გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსით, თუ ეს ვერ მოხერხდა, ხმის მიცემით. ასამბლეა ირჩევს თავმჯდომარეს და ორ ვიცე-თავმჯდომარეს სამი წლის ვადით. ასამბლეა იკრიბება წელიწადში



